

ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 3

კვირა, 19 მარტი

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

ფასი წლის დამლევაძმის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან.

1877—1906

ადრესი: ცუფილისი, ფრეილინის ქ., №5. ტელეფ. № 922.

სარჩენი:—პარტიული „სიწმინდე“, ფ. გოგინაიშვილისა.—ქალბატონის პირველდაწყებითი სკოლები და მათი მასწავლებელი მომავალი, დამოუკიდებელია,—მიზაძე, ლექსი აკაკისა.—კამათი ზეტონოზის გამო, კ. ა-სა.—რუსეთის საფინანსო გაჭირვება და სათათბირო, ს. კ-სა.—გაკვეთი, მეთვალყურისა.—იუმორი ქართველების ცხოვრებაში, არტურ ლეისტისა.—სიკვდილით დასჯა, რ.—ლისა.—ქარიშხალი, სვ. ყიფიანისა.

პარტიული „სიწმინდე“

მთელ ქართველ ერის საზოგადოებრივად მოქმედ ძალთა ზნეობრივ-გონებრივი მდგომარეობა და პრაქტიკული საქმიანობა დღეს ისეთი ხასიათისაა, რომ მას შესაფერად გამოხატავს ერთი რუსული სიტყვა—*разруха*. ეს სიტყვა ქართულად დაახლოვებით ნიშნავს დაქსაქსულობას, შეუთანხმებლობას ანუ, უფრო დაბიურად, ალთა-ბალთობას, მართალია, ტაქტიკური ალთა-ბალთობა ჩვენში მაინცა და მაინც ახალი ამბავი არაა, მაგრამ განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს იგი ისე თვალსაჩინო შეიქმნა, რომ დღეს ყველასთვის ცხადი და აშკარაა. ჩვენებური პარტიები სექტებს ემსგავსებიან და ერთმანეთის წინააღმდეგ ომობენ მაშინაც კი, როცა მათივე ინტერესი მოითხოვს ერთმანეთთან შეთანხმებას და სოლიდარულ საქმიანობას. ამის დამამტკიცებელი მაგალითები ბლომად იყო ახლობელ წარსულში და ბლომად მოიპოვება დღევანდელ ცხოვრებაშიაც.

ავიღოთ, მაგალითად, სახელმწიფო სათათბირო და ახლანდელი არჩევნები. ვინც მიუღლომელად უყურებს და წინასწარ განზრახვის გავლენით არ არკვევს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ რუსეთში დღეს არა თუ დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაწყობება, არამედ დემოკრატიულ მონარქიის დასამყარებლადაც კი საკმაო რეალური ძალა არ მოიპოვება. შეიარაღებულ აჯანყების მოსახდენად რევოლუციონერ პარტიებს არ ჰყავთ თავის მხარზე არა თუ მთელი ძლიერი საზოგადოებრივი კლასები (ბურჟუაზია და მემამულეები), რომლებიც თავის მდგომარეობით და მისწრაფებით წინააღმდეგნი არიან აჯანყებისა, არამედ არ ჰყავთ სრულად ის ელემენტებიც კი, რომელნიც, თავის ინტერესების მიხედვით, უქვევლად მომხრე უნდა იყვნენ რევოლუციისა. პროლეტარიატისა და გლეხობის მხოლოდ მცირე ნაწილი არის გათვითცნობიერებული და რევოლუციისთვის მომზადებული. მთავრობა კი განაგებს მის მორჩილ აუარებელ სამხედრო ძალას, რომელსაც რევოლუციონერ ბრძოლის დროს საქმე ექმნება სახელმწიფოს მცხოვრებთა არა დიდძალ უმრავლესობასთან, არამედ მისთვის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობასთან. ცხადია, ასეთ გარემოებაში ნაყოფიერი აჯანყება ვერ დაიწყება და, მაშასადამე, რუსეთის პირველ კონსტიტუციის დაწერა და დაკანონება წილად ხედება არა რევა-

ლუციის გამოარჯებულ ხალხს, არამედ იმ დამახინჯებულ „პარლამენტს“, რომელიც რევოლუციონერ მოძრაობის წიშით ბიუროკრატიაში გამოაცხრა და სახელად სახელმწიფო სათათბირო უწოდა. ყველამ კარგად იცის, რომ, დაწესებულ საარჩევნო უფლებების მეშვეობით, ეს „ხალხის წარმომადგენლობა“ ნამდვილად დიდ ცენზიანთა წარმომადგენელია და ამგვარად იქიდან თავიდანვე გამოდენილია დიდი ნაწილი დემოკრატიისა. ცხადია, ასეთი სათათბირო ვერც დამფუძნებელ კრებად გადაიქცევა და ვერც დემოკრატიულ კონსტიტუციას განახორციელებს. მთავარი პოლიტიკური საკითხი რუსეთის პირველ პარლამენტისა იქნება მხოლოდ შემდეგი: რუსეთის კონსტიტუცია ისეთი „ზომიერ—ლიბერალური“ უნდა იქმნეს, როგორც, მაგალითად, პრუსიისაა, თუ ცოტათი იმაზე უფრო დემოკრატიული. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა და კონსტიტუციის ელემენტების ბედ-იბადლი სათათბიროს წევრების პარტიულ ძალთა განწყობილებათაზე არის დამოკიდებული. რაც უფრო ძლიერი იქნება მასში, რიცხვით თუ გონებრივ-ზნეობრივ ძალით, დემოკრატიული პარტიები, მით უფრო მეტი იმედი არის, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციაში დემოკრატიული პრინციპები იქნება შეტანილი.

რა ტაქტიკას უნდა ადგენ ასეთ გარემოებაში დემოკრატიული პარტიები არჩევნების დროს? ცხადია, უნდა ადგენდნენ სამოქმედოდ ერთ კავშირს და ცდილობდნენ, არჩევნებში ერთმანეთის კანდიდატებს მოუპოვონ გამარჯვება. ხდება ამის მსგავსი რამ ჩვენში? ოკრიბებიან სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელნი ერთად და ცდილობენ ამ კონკრეტულ საქმისთვის შეთანხმებულ მოქმედების გეგმის შემუშავებას?

აბა რას ბრძანებთ! ეს ხომ „კლასობრივ ბრძოლისა“ და „პარტიულ სიწმინდის“ წინააღმდეგი იქმნება! თითოეულს ჰგონია, რომ მხოლოდ თავის ძალდონით შესძლებს იმ ტუზისების განხორციელებას, რომლებიც მას თავის პროგრამაში უწერია, და ამიტომ არა თუ საჭიროდ, პირდაპირ მანებლად მიაჩნია სხვებთან შეთანხმება და თავის პროგრამის ამა თუ იმ ნაწილის განსახორციელებლად მოკავშირეების გაჩენა. ფედერალისტები და ნაწილი სოციალდემოკრატებისა სულ გაბუტუნენ სათათბიროს და ამით დურნოვას დიდი უსიამოვნება მიაყენეს, ხოლო სოციალდემოკრატთა მეორე ნაწილი მარტო პარტიულ „სააგიტაციო მიზნით“ იღებს არჩევნებში მონაწილეობას. და მათ სჯერათ, რომ ასეთი ტაქტიკით საარგებლობას აღლვევენ დემოკრატიის.

უბედურება ის არის, რომ ქართველ „პოლიტიკოსებზე“ მწარე გამოცდილებასაც არ აქვს გავლენა. ამ ორიოდღე თვის წინად, მაგალითად, როცა სარევოლუციო მოძრაობა იყო განაღებული, როცა ამ მოძრაობაში ყველა ოპოზიციონერ

ელემენტებს უნდა მოეყარათ თავი, ბიორაკრატია დაესუსტებიათ და ბურჟუაზიულ რევოლუციისთვის გამარჯვება მოეპოვებინათ, ჩვენებურ სოციალდემოკრატიის ბრძენ იდეოლოგებმა „პროლეტარიატის თვითმპყრობელობის“ დროსა ააფრიალეს და კრებებზე ბურჟუებს „განადგურებას“ ჰპირდებოდნენ. საქალაქო საბჭოებში მათი წარმომადგენლები ბურჟუებს პირში ეუბნებოდნენ: „ბიურაკრატის სისხლს თქვენი სისხლიც უნდა შეეფრთხოს“, და ამას სჩადიდებდნენ სწორედ იმ დროს, როცა იმ ბურჟუების დახმარება დემოკრატიის საქმის გასამარჯვებლად აუცილებლად საქმრო და სასარგებლო იყო. მაშინ, როცა მიზნის განსახორციელებლად საქმრო იყო შეერაუება და ყველა ძალების გამოყენება, ისინი დაქსაქსვის ტაქტიკას დაადგნენ და პოლიტიკურ რევოლუციის თანამგძნობ კლასებს ნამესტნიკის აღმინისტრაცია მოანატრეს. ჩვენში, სადაც პროლეტარათა რიცხვი მთელი ხალხის მეოცედ ნაწილსაც კი არ შეადგენს, „პროლეტარიატის თვითმპყრობელობის“ დროს, იმ ბრძენ პოლიტიკოსების აზრით, საერთოდ დროსად უნდა გამხდარიყო და მის გარშემო მთელი ხალხი უნდა შეკრებილიყო.

იმგვარსავე ანგარიშზე არის არსებითად აგებული ახლანდელ არჩევნებისთვის შეთანხმების უარყოფი ტაქტიკაც. იგი შედეგია პარტიულ სექტანტობისა, რომელიც საზოგადოდ უარყოფს სხვა პარტიასთან შეთანხმებას რაიმე მიზნის მისაღწევად და სთვლის მას სამარცხენო „კომპრომისად“ და დასაგმომ „ოპორტუნიზმად“.

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენებური პარტიები ამგვარ სექტანტობის ფაზის როდისმე გასცილდებიან. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ევროპაში მსგავს პარტიებს დიდი ხანია გავლილი აქვთ ამგვარი ხანა და იქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში დღეს პარტიული „კომპრომისები“ ანუ ახლობელ პარტიების შეთანხმება განსაზღვრულ ახლობელ მიზნის განსახორციელებლად ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული.

მაგალითად, გერმანელი სოციალდემოკრატი ედ. ბერნშტეინი სწერს ამ საგნის შესახებ შემდეგს (Neue Zeit, XV. Jahrg. ტ. I, გვ. 516 და შემდგ): „ჩვეულებრივ ამბობენ, — კომპრომისები მავნებელია პარტიისთვის, რადგან მათი მეოხებით ჰქრება საქმრო განსხვავება პარტიებს შორის და ამგვარად კომპრომისები ვნებს პარტიულ გარკვეულობას და ასუსტებს პარტიის მებრძოლ ძალასო. მაგრამ ისინი, ვინც ასე ფიქრობენ, ერთმანეთში ურევენ — ჯერ ერთი — ძალის დახარჯვას და მის ნაყოფიერობას: შეიძლება ძალია მეტად ბევრი დაიხარჯოს, ხოლო ნაყოფი მისი კი ძალიან მცირე იყოს, და შეიძლება, პირიქით, ცოტა ძალია დაიხარჯოს და შედეგი კი ამ ძალის დახარჯვისა ძალიან დიდი იყოს; მეორე, — ერთმანეთში ურევენ აგრეთვე პრინციპებისა და მოქმედების კომპრომისებს. კომპრომისი პრინციპებში მართლაც სახიფათოა, ხოლო კომპრომისი მოქმედებაში მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში შეიძლება იქმნეს სახიფათო. პარტია რაც უფრო უზრუნველყოფილია პირველგვარ კომპრომისისაგან, მით უფრო თავისუფლად შეუძლიან მას მოიმოქმედოს მეორეგვარი კომპრომისები. პარტია მთლიანი და მტკიცე უნდა იყოს თავის მიზნისა და ხასიათის მხრივ, მაგრამ ბრძოლაში კავშირის უარყოფა რაღაც შაბლონისა, ფრაზისა თუ თავმოყვარეობის გულისთვის მოასწავებს უდიდეს შეცდომას, — მოვალეობის დაიწვევას, პარტიის ინტერესების დაღატას.

ამ განყენებულ დასკვნის დამტკიცება და გაშუქება შეიძლება კონკრეტულ მაგალითებითაც.

შეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ინგლისში იყო დიდი მოძრაობა პროლეტარიატისა, რომელსაც სახელად ჩარტისტთა მოძრაობა ეწოდება. ჩარტისტების მიზანი იყო სოციალისტური საზოგადოებრივი წესწყობილება, ხოლო მათი ბრძოლის უახლობელეს მიზანს შეადგენდა დემოკრატია ანუ საყოველთაო საარჩევნო უფლება. როგორც ყველამ ვიცით, ეს დიდი მოძრაობა, რომელშიაც მრავალი ნიქიერი და თავდადებული მებრძოლი იყო შემბული, ჩაქრა ისე, რომ ვერც ერთი თავისი მისწრაფება ვერ განახორციელა. რატომ? იქნება ჩარტისტების პარტია საკმაოდ არ იცავდა თავის პრინციპების სიწმინდეს, იქნება იგი ოპორტუნიზმის დამღუბველ გზას ადგა და სხვა პარტიებს კომპრომისებით უკავშირდებოდა? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა რა, — პირიქით, ჩარტისტთა პარტიის ტაქტიკა პირდაპირ კომპრომისების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩარტისტები არც ერთ პარტიას ისე ენერგიულად არ ებრძოდნენ, როგორც ლიბერალების პარტიას. ისინი მუდამ გულმოდგინედ „სწმენდნენ“ თავის დასს, — იმ ელემენტებს, რომელნიც ლიბერალებთან კავშირის შეკრას თანაუგრძნობდნენ, დაუზოგველად აძევებდნენ თავის წრიდან, მაგრამ ამგვარმა „წმენდამ“ არა თუ გაამაგრა მოძრაობა, არამედ დაასუსტა მისი ძალა და ბოლოს „განწმენდილმა“ მოძრაობამ ისეთი კრახი განიცადა, ისე ჩაიფუშა, რომ დღეს წარმოდგენაც კი გვიძნელდება. შემდეგ მუშათა ნაწილმა კავშირი შექკრა ბურჟუაზიის მემარცხენ ნაწილთან. როგორც უნდა დავაფასოთ ეს კავშირი, ერთი რამ მაინც ცხადია, რომ მისი პრაქტიკული შედეგი იყო პირველი მოძრაობა საარჩევნო სისტემის რეფორმის მოსახდენად. 1867 წელს საარჩევნო უფლება მიიღო ქალაქის მუშათა ნაწილმა, ხოლო 1884 წელს ეს უფლება ქალაქისა და სოფლის მუშების უფრო ფართო წრეს მიენიჭა. მართალია, 1867 წლის რეფორმა ღიზრავლის კონსერვატიულმა სამინისტრომ გაატარა, მაგრამ ნამდვილად ეს იყო საქმე პარლამენტისა, რომლის უმრავლესობას ლიბერალები შეადგენდნენ. იმ ორგანიზაციას, რომელშიაც შეერთდნენ მუშები და ბურჟუაზიული რადიკალები საპარლამენტო რეფორმისთვის სააგიტაციოდ, რეფორმის ღიგა ერქვა სახელად. მის აღმასრულებელ კომიტეტში იყვნენ ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს ზოგიერთი წევრებიც, რასაც თვითონ მარქსი სასახელოდაც სთვლიდა. ამის გამო მუშების გავლენა პარლამენტზე შესამჩნევად გადიდა...

„ინის დასამტკიცებლად, რომ კავშირის საშუალებით შეიძლება ძალია დაზოგვილ იქმნეს ან გადიდდეს, ხოლო განცალკევების ტაქტიკით — გაიფლანგოს, დასუსტდეს, — კარგი მაგალითია ლონდონის საგრაფო საბჭოს ისტორიაც... მაგრამ ინგლისში წასვლაც არაა საქმრო, რათა დავრწმუნდეთ, რომ სოციალისტურ მოძრაობისათვის კომპრომისი არივითარ ხიფათს არ წარმოადგენს. გერმანიის სოციალდემოკრატიის შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას აკვანშივე თან დაჰყვა კომპრომისი. პარტიას არჩევნებში არა ერთხელ დაუქერია მხარი ბურჟუაზიულ დემოკრატებისთვის, მაგრამ ამით მას არა წახდენია რა...“

„კავშირის უარყოფის ქადაგება ხშირად შედეგია ყალბ თავმოყვარეობის ან აზროვნობის სიზარმაცისა. ასეთ უარყოფისთვის საკმარისია რომელიმე გაცვეთილ საბრძოლველ ფრაზის გაზებირება, მაშინ როდესაც კომპრომისის პოლიტიკა

მოითხოვს ნამდვილ ურთიერთობათა დაწვრილებით შესწავლას. ნამდვილ ცხოვრების ისეთ მიუტევებელ უცოდნელობას, რეალურ ძალთა განწყობილების ისე ყალბად წარმოდგენას ჩვენ არსად არ ვხედავთ ხოლმე, როგორ „შეურიგებელთა“ „რეჩებსა“ და ნაწერებში. ამბობენ: პარტია მხოლოდ მაშინ ანხორციელებს სოციალიზმის იდეალებს, როცა თავის დროშას ატარებსო. შეიძლება ეს ფრაზა შევატრიალოთ და მისი აზრი მაინც არ შეიცვლება. რას ნიშნავს ეს გაცვეთილი ფრაზა, რომელსაც ხშირად იმეორებენ? ერთ თავის დრამაში იბნენს დახატული ჰყავს ერთი კაცი, რომლის სპეციალობას შეადგენს ის, რომ მას მალა უქარავს „იდეის დროშა.“ იგი ბევრს დარბის, მაგრამ საქმეს კი ძალიან ცოტას აკეთებს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისე დამქანცველი არაფერი არაა, როგორც უსაგებლოდ ფრიალი „იდეის დროშისა.“

შენიშვნა ჩვენთვის სოციალდემოკრატიებისთვის. ეს სტრიქონები ბერნშტეინმა დასწერა იმ დროს, როცა „რევოიზონიზმის“ არა ეცხო რა და ყოველ მის ნაწერს „თვით შეურიგებელი“ კაუტსკიც ყველაფერში ეთანხმებოდა. მიუხედავად ამისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილში გატარებული „ერესი“ ჩვენს საციალდემოკრატიებს სადგრდელს აუშლის და ლანძღვა-გინების გულისთვის თავს მოახსენიენებს. მათ ბლომად ჰყავთ „ელების“ „თავუნას“ მსგავსი ქვეწარმავალნი, რომელნიც სამიკიტნოების სოროებში იღებენ ზრდილობის გაცვეთილებს და შემდეგ „ელების“ ფურცლებზე ჰყრიან დაკაკულულად. მაგრამ მე ავგვარ სურნელოვანებას ვერ მივუახლოვდები და ისევ „ელების“ რედაქციას დავულოცავ საესებით. ეტყობა, „ლოპებს“ ხორცის შოვნა უჭირთ, როცა თავგების ამგვარ „ნაწარმოებით“ იკვებებიან...

—Bon appetit!... ფ. გოგიაჩაიშვილი.

ძალბების პირველდარწმინითი სკოლები და მათი მასწავლებელი მომავალი

მკითხველს, უთუოდ, ესომება, რომ შარშან, როდესაც სხვა მრავალ საკითხთა შორის განმათავისუფლებელ მოძრაობის ტალღამ სასკოლო საკითხიც დღიურ ვარამად დასახა და ხალხმა მოითხოვა სწავლება სამშობლო ენაზედ ყოფილიყო, კავკასიის ნამესტნიკმა ბრძანება გამოსცა, რომ აღნიშნული სკოლები ეროვნების მიხედვით დაეყოთ და ყველასათვის: ქართველისთვისაც, სომხისთვისაც, თათრისთვისაც და რუსისთვისაც ისე მოეწყობა სწავლების საქმე, რომ არავის მათგანს დაბრკავებულად და დავიწყებულად არ ეგრძნო თავი და ელემენტალური საპედაგოგო მოთხოვნილება და სამართლიანობაც დაეცვათ ვითომ. მოკლედ რომ ვსთქვათ, გადასწყვიტეს ძველი ტიპი ადგილობრივის სკოლებისა (ТУЗЕМНЫХ ШКОЛ) ისევ შემოეღოთ.

დღი არ იყო, მართალია, ეს მოწყალეების სახით მოვლინებული ნახევარ-უფლება ქალაქისა, რადგანაც პროგრამა ძირიანად არ იცვლებოდა, მაგრამ არარაობას მაინცა სჯობდა, უფლების გაფართოვებას მოასწავებდა. ამიტომაც იმედი გვქონდა, ახლო მომავალში უთუოდ მოხდებოდა ეს განაწილება სკოლებისა ქალაქში მცხოვრებ ეროვნებათა შორის, და სკოლის საქმეშიაც, როგორც სხვაგანაც, ცოტაოდენი სამართლიანობა დამყარდებოდა. მაგრამ დღემდის არა ისმოდა-რა: ან იქნება იმიტომ, რომ თვითონ ქალაქის მამებსაც ფხვ ქვეშ ხალიჩა ეცლებოდათ, ან იმიტომ, რომ უკეთესის მოლოდინი ჰქონდათ, ან არა სცალოდათ!

დღეს-კი, როგორც მოგეხსენებათ, უკვე შეუდგა ქალაქი სკოლების განაწილებასა მაგრამ როგორ და რანაირად, არ იკითხავეთ? მეტად სახიფათოდ და უსამართლოდ, თუ დავუვიკრიბებთ. შეიძლება ქალაქს თავისი დასაბუთებული მოსაზრებაცა ჰქონდა, როცა საქმეს სწყვეტდა და თავის რიცხვით მკირე 19 სკოლას მცხოვრებთა შორის ანაწილებდა, მაგრამ ზოგიერთი საყვედურო რომ ჩვენც გვეთქმის ამს შესახებ, ამასაც დავასაბუთებთ.

არ ვიცი, დაახლოვებითაც არის, რამდენი მცხოვრები რომელ ეროვნებისა ითვლება დღეს ქალაქში, რადგანაც, ჩვენდა დიდად დასიფიქრებლად, უკანასკნელ გარემოებათა გამო ერთის ეროვნებისანი სოკოსავით მრავლდებიან, მეორენი კი... ნორმალურს ზრდას არ აქარბებენ. მაინც ვიკოდით ამ ორის წლის წინად, მაგალითად, რომ პროპორციონალური დამოკლებულება ტფილისში მცხოვრებ ეროვნებათა ასე გამოიხატებოდა: პირველი ადგილი (63 ათასამდე) სომხობას ეკირა, მეორე ადგილი (50 ათასამდე) ქართველობას, მესამე ადგილი (40 ათასამდე) რუსობასა და მეოთხე თათრობასა და სხვა ეროვნებათ. მართალია, აღნიშნული სტატისტიკური ცნობები ჰეტად აზნეულია და ნამდვილს რაოდენობას მცხოვრებლებისანი არ გადმოგვცემს კიდევ, მაგრამ სხვა რამ საზომი და უკეთესი არ მოგვეპოვება.

სხვა რომ არა ვიგულისხმოთ-რა, მაგალითად,—რომელს მათგანს რა ღონისძიება აქვს, რომ ხელმოკლე მცხოვრებთა ბავშვებს პირველდაწყებითი სწავლა როგორმე უფასოდ მიადებინოს, მაინც საქმე უბრალო პროპორციით უნდა გადამწყდარიყო და იმავე მეტნაკლებობით გადაწყვეტილიყო ყველა ეროვნების მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ჰხედლობდა წილად ესა თუ ის არსებული ან ახალი სკოლა და იმ უბანში უთუოდ, სადაც იგინი სცხოვრობენ.

მაშასადამე, ზემოდ მოყვანილ უბრალო პროპორციის მიხედვით, 7 სკოლა სომხებს უნდა ჰხედომოდა წილად, 6 ქართველებს, 5 და ერთიც თათრებს. რასაკვირველია, არ ვეხებით იმ საკითხს, აღნიშნული რიცხვი სკოლებისა რამდენად აკმაყოფილებს ხალხის ნამდვილს მოთხოვნილებას, ან შეუძლებელ მცხოვრებთა ყოფა-მდგომარეობაზედ ერთგულად მზრუნველ ქალაქს რა მოეთხოვება. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რამდენად დაიცვა ქალაქმა სამართლიანობა, როგორც ამას არსებულ სკოლების რიცხვი და მცხოვრებთა ეროვნების მიხედვით დასახლება მოითხოვდა.

მართალია, ისე არ არის დასახლებული ქალაქი, რომ თამამად ვისმე შეეძლოს სთქვას: მტკვარს გაღმა ჩვენ, გამომღმა თქვენაო, ან: ზევით თქვენ, ქვევით ჩვენაო, რადგანაც სხვა-და-სხვა ეროვნებისანი—სომეხი, ქართველი, რუსი—არეულია ერთმანეთში, მაგრამ ის-კი ნამდვილად ვიცი, რომ ზოგიერთი უბნები თითქმის რომ ერთგვარ ეროვნების მცხოვრებლებით არის დასახლებული, უცხო ეროვნებისანი უმცი რესობას შეადგენენ. ამისდა მიხედვით, ცნობილია, მაგალითად, რომ ქალაქის მდიდარი შუაგული თითქმის მთლად სომხის მსხვილ ბურჟუაზიას უჭირავს ხელში, ავლაბარშიაც დიდს უმეტესობას სომხობა შეადგენს, მხოლოდ უფრო ნაკლებ შეძლებისა და მუშა-ხალხი. მამა-დავითსა, ვერასა, კუკიასა და ძველ ქალაქილამ ანჩისხატისაკენ-კი მეტ წილად ქართველობაა დასახლებული. ბლომდაა ქართველობა დიდუბეშიაც; ნაძალადევი ხომ თითქმის მთლად ქართველებისაა. მაშასადამე, სხვებს რომ არ შეეხებინეთ, ქართულ სკოლებისთვისაც აქეთ უნდა დაეთმოთ ადგილები. ჩვენ-კი რა

გვესმის? საოცარი რამ: რომ მთელი გული ძველ ქალაქისა — ანჩისხატისა და მახლობელი რაიონი — მოკლდებულა ქართულ სკოლას; ხაძალადევშიც, სადაც თითქმის ყველა ქართველია, რუსულ-ქართულ განყოფილებას აარსებენ მაშინ, როდესაც იქვე რკინის გზის სკოლაა და შეეჭლოთ რუს ბავშვებს იქ ეარათ. უარესს მოგახსენებთ: ავლაბრიდგან მოკიდებული, მთელი რიყე, ჩუღურეთი და დიდი მოსახლობა ქართველებისა კუკიაში (თუმანოვის ქუჩები, გორებზედ შეფენილი ქართველი მცხოვრებლები, კვირაცხოვლის მხარე და ავქალის ქუჩა, სადაც თითქმის სულ წვრილი მუშა და ხელოსანი ქართველი ხალხი ცხოვრობს) სკოლას მოწყვეტილია და ვოგზლისკენ უთითებენ ქ-ნ ასათიანის საგამგეო ქართულ სკოლაზე, რომელიც უიმიოსდაც საცებით საცეა მოწაფეებით. მართალია, პარალელ განყოფილებათა დაარსება თურმე სწადიანთ აქა, რომ სკოლამ მეტი მოწაფეები დაიტოოს, მაგრამ რათაო, ნეტა? რა აიძულებთ? არ სჯობდა, განა, დარბი და შეუძლებელ მოსახლეთა შევიწროვებულ მდგომარეობაზედაც ფიქრათ ცოტა და აქ ორ-ორ განყოფილების გახსნის მაგივრად, ერთი ქართული სკოლა კუკიის შუა გულში სადმე დაეარსებინათ ჩუღურეთის საზღვრებთან, რომ განგებ დამაბრკოლებელი მიზეზები არ შეექმნათ და დარბი, რიგზედ ჩაუტყველი, ნახევრად შიშველ-ტიტველი ბავშვები ორისა და სამის ვერსის მანძილზე არ ეტარებინათ ზამთარში? ან-და იგივე მეორე განყოფილება ქ-ნ ასათიანის სკოლისა დღევანდელს ბ-ნ ამირაღოვის საგამგეო სკოლაში დაეტოვებინათ, რომელსაც შესანიშნავი მოხერხებული ადგილი უქირავს მთელის კუკიის რაიონისათვის? მით უმეტეს, რომ 80-იანს წლებში, პირველად აქ სკოლის დაარსების დროს, პირდაპირ ქართული უწოდებიათ ამ სკოლისათვის და დღესაც მოწაფეთა რაოდენობა ეროვნების მიხედვით ქართველებისა სხვებისაზე ნაკლები არ არის, თუ არა სკარბობს. ავილოთ, მაგალითად, თუნდ ამ წლის დასაწყისში რამდენი ყოფილა აქ ქართველი, რამდენი სომეხი (რუსები უმცირესობას შეადგენენ) და დღეს რამდენია:

იყო ქართველი:	არის:
22 — პირველს განყოფილებაში —	19
24 — მეორე განყოფილებაში —	20
20 — მესამე განყოფილებაში —	17
იყო სომეხი:	არის:
23 — პირველს განყოფილებაში —	26
18 — მეორე განყოფილებაში —	19
13 — მესამე განყოფილებაში —	11

ამ მცირე შედარებიდანაც ნათლად მტკიცდება, რომ სამართლიანობა მოითხოვდა, თუ განსაკუთრებული ქართული სკოლა არა, პარალელი ქართული განყოფილება მაინც უთუოდ ყოფილიყო აქ, რადგანაც ბ-ნ ამირაღოვის სკოლა გაასომხურეს და ეს ამოდენა ბავშვები სკოლის გარედ დარჩნენ, ჩუღურეთის სკოლა ქ-ნ ვასილიევისი რუსული განბა და ჩუღურეთის ქართველი ბავშვებიც გარედ დარჩნენ, ავქალის ქუჩისავე სკოლა ქ-ნ ბრონსკაისიც რუსულად იქცა და აქედგანაც გამოითიშნენ ქართველები. მაშასადამე, ქალაქის დღევანდელ გარდაწვეტილებით, ავლაბრიდგან მოკიდებული რკინის გზის სადგურამდე რაც-კი სამს სკოლაში ქართველი მოწაფეები იყო, თითქმის სამის ვერსის მანძილზე, უუშორეს განაპირა პუნქტისაკენ გაისტუმრეს ქ-ნ ასათიანის სკოლაში, რომელიც რკინის გზის სადგურს აკრავს თითქმის.

ასევე მოიქცნენ სხვა სკოლების შესახებაც და მაშინ, როდესაც შუა გული ქალაქისა სხვა ეროვნებათა (სომხურ-

რუსული) სკოლებით არის მოფენილი, ქართული სკოლები რალაც მანქანებით სულ განაპირად მოაქციეს: ავლაბარში, მამადავითსა, ვერასა, რკინის გზის სადგურის მახლობლად და ნაძალადევში, ასე ხელოვნურად ცდილობენ ქართველობის ქართულ ქალაქიდგან გარიყვა-კანაპირებას... რა აზრით, ნეტა? იქნება დაავიწყდათ ჩვენს მზრუნველებს, რომ ყოვლის უწინარეს სამართლიანობით უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი და განგებ ვისიმე გათიშვა და მიჩქმალვა მხოლოდ დროებითი ხერხი და გამარჯვებაა, დიდი დღე არა აქვს, შუბი ტომარაში არ დიამალბა?..

აუცილებელ საქიროებად ვთვლით, ამიტომ, სანამ უკედ მოახერხებდეს ქალაქი მცხოვრებთა პირველ დაწყებით სწავლების მოწყობას და სკოლების რიცხვს შესაფერად გაადიდებდეს, რომ ყველა ეროვნების ბავშვებს შეეძლოთ დაუბრკოლებლივ სწავლის მიღება, არ დააკანონონ ის, რაც უკვე გადაუწყვეტიათ, და ქართული სკოლა გაიხსნას: 1) ძველი ქალაქის რაიონში ანჩისხატისკენ და 2) თუ ცალკევე ვერ მოხერხდება ამ ჟამად კუკიაში ჩუღურეთის მახლობლად ქართულ სკოლის გახსნა, აწ არსებული ბ-ნ ამირაღოვის საგამგეო სკოლა მაინც უთუოდ ქართულ-სომხურ სკოლად გადაკეთდეს და თვითონვე ქალაქმა არ შეუკრას კუკიის ხელმოკლე ხელოსანსა და მუშა ხალხს ხელფები და სწავლას მოწყურებული მათი შვილები ქუჩაში არ დასტოვოს. ამას მოითხოვს მიუღდომელობა, უბრალო სამართლიანობა. ამას მოითხოვს დროც, თორემ ქალაქმა რომ სთქვას, დღეს არა, ხვალ უთუოდ ავასრულებთო, ხალხი ამით არ დაკმაყოფილდება, ყოველი დაკარგული დღე და წამი სწავლით აღჭურვისა ძვირად უღირს ხალხის, სწავლაა მხოლოდ მისი იმედი და ხსნა.

დაძოგუიკებელი.

მიზამა

სანამ ვიყავ ახალგაზდა და სიამით სძგერდა გული, სუყაველგან ყველაფერი მესხატოდა მე ქართული.

რომ დავებრდი, დაუძღურდი, გამითეთრდა თმა და წვერი, სულ სხვა გვარად მენვენება ფერ-მეცვლილი ჩვენი ერი:

ალარც ქცევა, არც ზდილობა, ალარც სიტყვა და პასუხი... თვალ-ტანადის მაგივრად მახინჯი და რალაც ჯმუხი!

სევდა მკლავდა. სასეირნოდ კვიარე ტროტუარზე, სადაც აღრე ქართველები, თითქოს მღერდნენ ტკბილად თარზე.

ალარც თარი. არც ქართველი, ალარც მათი ნიშან-წყალი!... სად ჯანაბას მიმალულია ჩვენი ხალხის საწყალი?

მის ადგილზე სხვა დამდგარა,
დამცველია, ვითომ, წესის...
ქართველი კი მოკუნტულა,
პირუტყვივით გმინავს კენესის.

აგერ მოდის უცხო ვინმე,
გვერდში უდგას ტურფა ქალი,
ხელთ უჭირავთ ძლიერება,
თუმც კი არ აქვთ სამართალი.

სხვა ენაზე მოუბრობენ,
იძახიან: „კეცე! კეცე!“
და, ქართველო, გზა დაუთმე!...
აიბარგე!... აიკეცე!...

ქუჩა-ქუჩა მოაქროლებს
ეკიპაჟს, თავ-მომწონია;
ეტყობა, რომ ის ამ ქვეყნის
ბატონი და პატრონია!..

ბძანებს: „მუხა ვაშლებს ისხამს
და მემოწმეთ თქვენცო რაღა!
რაღა გზა გვაქვს? ვემოწმებით
და ჩვენც ვამბობთ: „ბალი აღა!“

მარჯვნივაც სხვა, მარცხნივაც სხვა,
ვერსად ვხედავ ამ ქვეყნის შვილს,
და თუ ვხედავ, ვაი ნახვას...
ვინ გაუძლოს გულის ტკივილს .

უცნაურმა სანახავმა
გამაყვითლა, როგორც ქარვა;
სიონისკენ ვავექანე,
რომ იქ სევდა მომექარვა.

აქ მიწიდა ჩვენებურად
წირვა-ლოცვა მომესმინა,
მაგრამ იქაც სასივამ
მიღრინა და გულს მიკბინა.

აღარც წირვა, აღარც ლოცვა,
არც ქართული ლაპარაკი.
ტკბილ ქართულის მაგიერად
გაისმოდა „პაკი—პაკი“

დავღონდი და გამოვბრუნდი,
ცრემლით ვუთხარ მე ჩემს მუხას:
სჩანს სამშობლო შესდგომოდა,
უცხო კვალსა და სულ სხვა გზას!..

შევებრალე, მანუგემა:
ნუ გაიტებს—მითხრა— გულსო!.
თქმულა: „ღმერთი არ გასწირავს,
კაცს, ბედისგან გაწირულსო“..

აკაკი

კანატი ავტონომიის გამო.

წარსულ კვირას ბ. გვაზავამ რეფერატი წაიკითხა საქარ-
თველოს ავტონომიის შესახებ და მოიყვანა იმის საბუთები,
რომ ავტონომიური თვითმართვლობა საქართველოსთვის
მიუცილებელია; მას აქვს ამის ისტორიული უფლება და ამა-
სავე მოთხოვნს ინტერესი განახლებულ რუსეთისა, ვინაი-
დან ავტონომიის მქონე ერი არა თუ არ განეთოშება რუსეთს,
არამედ კულტურულად უფრო დაუახლოვდება მას.

ლექტორის საბუთები მიმართული იყო უფრო იმ დასე-
ბისაკენ, რომელიც წინააღმდეგნი არიან განაპირა ქვეყნების
ავტონომიისა რუსეთის სახელმწიფო მთლიანობის ინტერესე-
ბის მიხედვით. საშუაზროდ, მოკამათენი ამ მხრიდან არ გა-
მოჰნდნენ. არც ქართველი სოციალდემოკრატები გამოედაე-
ნენ, ისე როგორც წინანდელ გამოცდილების მიხედვით მოსალო-
დნელი იყო. უკანასკნელმა ამბებმა ჩვენს ქვეყანაში ისე მო-
გართა ხალხის პსიხოლოგია, რომ საეკვო სოციალდემოკრა-
ტიამ ავტონომიის დევნა წინანდებულის სიხარით განაგრ-
ძოს. ხალხის განწყობილების ზედ-გავლენით შეიძლება
მიიღონ კიდევ მათგან სასტიკად განკაცებული პრინციპი ავ-
ტონომიისა. სამაგიეროდ ლექტორს გამოედავა ერთი სომეხი
„სოციალ-დემოკრატი“ და განაცხადა, რომ ავტონომია სა-
ქართველოში უნდათ მართო თავად-აზნაურობას, მღვდლებსა
და ქუთაისის ქალაქის თვითმართვლობასო, და, რასაკვირვე-
ლია, რადგან ეს ფეოდალური და ბურჟუაზიული ელემენტე-
ბია, ამიტომ! ავტონომია ხალხის ინტერესების წინააღმდეგიაო.
ამის შესახებ სრულიად დასაბუთებული და სამართლიანი პასუხი
მიიღო (ბ. ლლონტისა და ბ. სურგულაძის სიტყვა). მართა-
ლია, სიტყვა „ავტონომია“ ხალხს არ უხმარია, მაგრამ მისი
მოთხოვნილების თვითველი მუხლი ისეთი იყო, რაიც შეადგენს
ავტონომიის შინაარსსაო ხალხი უფრო შორს მიდიოდა თა-
ვის შეხედულებაში თვით-მართვლობის შესახებ და არა თუ
საქართველოს დამოუკიდებელ თვითმართვლობას,—კერძოდ
ყოველი კუთხის დამოუკიდებლობასაც კი ელტვოდა (მაგ.
გურიამ განახორციელა საქმით კანტონალური ავტონომია).
და თუ პროლეტარიატი წინააღმდეგი იყო ავტონომიისა,—
წინააღმდეგი იყო იმ ავტონომიისა, რომელსაც უხატავდნ მას
მისი ნასწავლ უსწავლი იდეოლოგები. რაკი სხვა პარტიებმა
აღიარეს ავტონომიის პრინციპი, იმათ ავტონომია ყოველად
შესასიზღარ წყობილებად მონათლეს. ავტონომიით თავად-
აზნაურობას უნდა ბატონ-ყმობა დაბრუნოსო, ავტონომიით
ქართველ ბურჟუას ზურგი გაუმაგრდება და უფრო ადვილად
გასწევს მუშის ექსპლოატაციასო. ნამდვილად კი ავტონომიის
მომარენი იცავდნენ არა ისეთ ავტონომიას, რომელიც ბურ-
ჟუაზიისა ან თავად-აზნაურების ინტერესებზე უნდა იყოს
აგებული, არამედ ისეთს, სადაც თვით ხალხს აქვს ძალა და
უფლება გადაცემული.

მართლაც, ან განგებ უნდა დაიბრმავოს კაცმა თვალები
და ან ერთგვარის ავტოტაციის აზრით მთლად დაპყრობილი
უნდა ჰქონდეს გრძობა და გონება, რომ ამის უარი სთქვას.
ის დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ავტონომია, რო-
მელიც მოითხოვა ქართველმა თავად-აზნაურობამ და ბურ-
ჟუაზიამ, მათს კლასობრივ ინტერესებს სრულიად ეწინაა-
ღმდეგება. ავტონომიური სემი, სადაც თავს მოიყრიან ქარ-
თველ ერის წარმომადგენლნი, საყოველთაო, პირდაპირ, ფა-
რულ და ყველასათვის თანასწორ კენკის ყრით ამორჩეულნი,
იქმნება მთლად მშრომელ ხალხის ხელში; აქ უპირველესი
ადგილი ექმნებათ დაქვრილი ქართველ გლეხობას და მუშებს.

შემდეგ წვრილ ზურგუზიას და სულ მცირე ადგილი ეკავება ფეოდალებისა და მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ვინაიდან ჩვენ არა გვყავს არც მსხვილი ბურჟუაზია, არც მრავლად დიდი ფეოდალები. სწორედ იმ მიზეზითაც, რომ ჩვენში თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი ეკონომიურად დაქვეითებულია და პოლიტიკურად მიწასთან გასწორებული, მოხდა ასეთი უცნაური ამბავი, რომ თავად-აზნაურობამ სრული დემოკრატიული ავტონომია ადვილად მოითხოვა და თავის ხელითვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოაწერა ხელი თავის წოდებრივ მოსპობას. ერთი ორი დიდი ჩინოსანი და ფეოდალი ისე გააჯავრა ამ დადგენილებამ, რომ ცეცხლებს აფრქვევდნენ პირიდან, მაგრამ მათ არც ძალა და არც ნიადაგი არ მოეპოვებოდათ, რომ თავად-აზნაურობის უმეტეს ნაწილისთვის ხელი შეეშალათ. სწორედ ამავ მიზეზით, — რომ მსხვილ ბურჟუაზია რიცხვი ჩვენში ერთ-ორს არ აღემატება, ვერ მოახერხეს მათ ავტონომიის წინააღმდეგ წასვლა, თუმცა დემოკრატიული ავტონომია მათ კლასობრივ ინტერესებისთვის საზარალოა, ვინაიდან ქართულ სემიზე მათ არავითარი გავლენა არ ექმნებათ, მაშინ როდესაც, თუ კანონმდებლობის მხრით საქართველოს სეპარეტი რუსეთის ცენტრალურ პარლამენტთან იქმნება შეკავშირებული, იგინი ყოველთვის იშოვნებენ მსხვილ ბურჟუაზიაში ძლიერ მომხრესა და შემწეს.

მეორე მიზეზი იმისა, რომ სათავად-აზნაურო კრებებმა ავტონომია მოითხოვეს, ის არის, რომ ძლიერ მოძრაობას ვერ გადაეღობნენ წინ და ხალხის მედგარმა წინსვლამ თავად-აზნაურობაც გაიტაცა ძალაუნებურად, ხალხის გავლივებამ დაძალა მას ხალხის წადილი პოლიტიკურ თვითმართველობის თავის გადაწყვეტილებით ცხად ყოფილა. ამგვარად, ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის დადგენილებანი ხალხის მოძრაობით არის გამოწვეული და სასაცილოა, როცა ამ ძალის სასიამოვნო ნაყოფს ასეთის სიცხარით უარს ჰყოფენ ისინი, რომელთაც თავი მიაჩნიათ ხალხის სურვილების გამომხატველად.

აბა იმავე თვალთა ხედვის საზომით შეხედეთ სომხის ბურჟუაზიის და კიდევ უფრო ნათლად დაინახათ ჩვენგან გამოთქმულ აზრის სისწორეს.

სომხებს რომ განსაზღვრული ტერიტორია ჰქონდეთ, ექვი არ არის, უსათუოდ მოითხოვდნენ ადგილობრივ სემს (კანონმდებლობითი ორგანოს), და სომხის ბურჟუაზია ეცდებოდა, რასაკვირველია ცენზი გაეხადა წარმომადგენლობის საფუძვლად. დღეს-დღეობით მას მთლიანი ტერიტორია არ აქვს, იგი სხვა ერებში არის გაბნეული, და რამდენადაც იმ სხვა ხალხის მდგომარეობა, რომლის სისხლითაც სომხის ბურჟუაზია სუქდება, გამოურკვეველი იქნება, რამდენადაც ამ ხალხის სეპარეტი მექრთამე ჩინოვნიკობის ხელში იქნება, იმდენად ეს ბურჟუაზიის ხელ-საყრელი იქნება. საქართველოს ავტონომია, სადაც მშრომელ ხალხს ექმნება პოლიტიკური ბატონობა, ვერაფერი მიმზიდველი ანდამანტია სომხის გასუქებულ ბურჟუაზიისთვის. ამიტომაც ეს ბურჟუაზია დიდი მოწინააღმდეგეა საქართველოს ავტონომიისა, ამიტომაც აფრქვევს იგი ცეცხლს პირიდან, როცა ქართველების ავტონომიას ვაიგონებს. ამიტომაც იყო რომ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელმა, ბ. ხატისოვამ, ნაშესტნიკის დარბაზში მომაკვდინებელ ცოცხად აღიარა ავტონომიის მოთხოვნა. სომხის ბურჟუაზიის საქართველოს ტერიტორიას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ევროპულ ბურჟუაზიისთვის სხვა და სხვა კოლონიებს. ქართველებში არ არის განკითხარებული ვაჭრობა-მრეწველობა, მიწა-საქარა და სამრეწველო ასპარეზე ჩვენში სომეგ კაპი-

ტალისტებს აქვთ ხელში და აბა განა ისინი ღონეს არ ყოველ იხმარებენ, რომ საქართველოს ავტონომიას წინააღმდეგ?

ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ სომეხ მშრომელ ხალხისათვის ქართველ ერის შევიწროება და პოლიტიკური უფლებობა არ უნდა შეადგენდეს, პრინციპიალურად მაინც, საწადელ საგანს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ სომეხებში დიდ ძალას წარმოადგენს მხოლოდ მათი ბურჟუაზია და ხალხს კი არავითარა ხმა და გავლენა არა აქვს. ამიტომაც გვგონია, რომ სომხის გერმელ წოდებული „სოციალ-დემოკრატები“ ნათხოვარ მანტიაში არიან გახვეულნი და, როცა ისეთის სიცხარით ეწინააღმდეგებიან ქართველ ერის ავტონომიას, — სომხის ბურჟუაზიის მისწრაფება შემოაქვთ კონტრბანდალ სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ. ამიტომაც არ გავიკვირდა, როდესაც წარსულ კვირას სომეხ სოციალ-დემოკრატმა „გამოილაშქრა“ ავტონომიის წინააღმდეგ ისე, როგორც სომხის ბურჟუაზიის ლიდერმა, ბ. ხატისოვამ, სომეხ-თათართა დელეგატების სხდომაზე.

ნაციონალურ საკითხის გახსენება დღეს ჩვენში ზოგიერთთვის ეპილეპსიას ჰგვრის, მაგრამ ეგ მხოლოდ ჩვენი პოლიტიკურ უმწიფრობას მოასწავებს. არის ნაციონალიზმს შესევაითი და არის ნაციონალიზმი მოგერებითი. ქართველ ერის ნაციონალურ ინტერესების დამცველნი სრულიადაც არ ვლტვიან პირველ კვარნაციონალიზმს, — მათ არც ახალი საბაჟოე ი უნდათ შექმნან, არც განსაკუთრებული კანონები უნდათ გამოსცენ სხვა ერთა შესავიწროებლად. მათ ერთი რამ სწადიანთ: დაიცვან თავისი ერი სხვის შევიწროებისა და შაწუხებისაგან. ყველა პარტიები, რომელნიც თხოულობენ ავტონომიას, თანვე იმასაც აცხადებენ, რომ ძირითად კანონებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერთა სრული თავისუფლება. და როცა ჩვენი მეზობლები ამისთანა ჩვენს მისწრაფებას ეწინააღმდეგებიან, ჩვენ აშკარად და ნათლად ვხედავთ მათ ლტოლვილებას.

კ. ა.

რუსეთის საფინანსო მჭირებუ და სამთავრო

ფინანსების მხრივ ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა რუსეთი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორშიაც აქამად არის. ევროპის ბურჟუაზია და რუსეთის ხალხი შეეჩვივნენ, რომ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი ყოველთვის სკარბობდა გასავალს, რომ ნაღდ ოქროს რაოდენობა სახელმწიფო ბანკის სარდაფებში თანდათან იზრდებოდა მთელ საფინანსო სისტემის შენობა, ვარგვანად მაინც, მტკიცე და შეურყეველ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მართალია, ეს სიმტკიცე მაშინაც ზოგიერთების თვალში საეჭვო იყო. არა პირდაპირ გადასახადებზე აგებული ბიუჯეტი, ხალხში სმისა და ლოთობის ვაგრცელებზე დამოკიდებული, შემოსულ ფულის ხალხისათვის უსარგებლოდ გაფლანგვა, ხალხის საქირობათა უყურადღებოდ დატოვება და ხალხში ინიციატივისა და თავისუფალ მოქმედების მოსპობა, — ყოველივე ეს ძირს უთხრდა ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას და აუცილებლად ხდიდა არსებულ საფინანსო სისტემის დარღვევას. ამ დარღვევას არ მოელოდნენ მხოლოდ ისინი ვისაც სწამდა, რომ სატუსაღოს, მათრახს და დახვრეტას შეუძლია ხალხის სამუდამოდ დახვრება, რომ ამ საშუალებით მთავრობას მუდამ შეეძლებ. ხარავით აშრომოს ხალხი და იგი თავის სასარგებლოდ გაყვლიფოს...

საუბედუროდ, ასეთი რწმენა გავრცელებული იყო ევროპაში სადაც მთავრობის ბრწყინვალე და ძლიერმოსილი ბატონობა საქმის ნამდვილ მდგომარეობას ჰფარავდა, და თვით რუსეთის ხალხიც, მთავრობის ძალმომრეობით შეშინებული, თავის უნუგეშო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ოცნებასაც კი ვეღარ ბედავდა.

მაგრამ ხალხის დაბეჩავეების აუცილებელმა შედეგმა, — საფინანსო სისტემის რყევამ, — ახლა ნათლად იჩინა თავი, ისე ნათლად და ძლიერად, რომ მთავრობა იძულებული შეიქმნა ეს ქირი აღარ დაემალა და 1906 წლის სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვაში საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ ამ წლის განმავლობაში საქირო ხარჯების გასასტუმრებლად მას მოსალოდნელი შემოსავალი არ ყოფნის... ხარჯი აღემატება შემოსავალს სულ ცოტა 800 მილიონით! 300 — 400 მილიონი ახლაც არის საქირო და მთავრობას ამ ფულის საშოვნელად არავითარ სიღარიბე არა აქვს. სესხის იმედი მას გაუცრუვდა, — ევროპის ბანკირები ხალხის ამწიოკებელ მთავრობას არ ენდვენ, სანამ რუსეთი არ დამშვიდდება, ფულს ვერ გასესხებთო, რადგანაც დღეს გაბატონებული წრეები შეიძლება რევოლუციის ძლიერმა ტალღამ წალეკოს და სახელმწიფოს სათავეში დამტყდნა ახალმა ძალებმა, შეიძლება, უარი განაცხადონ იმ სესხზე, რომელიც რუსეთში რევოლუციის ჩაქრობას უნდა მოხმარებოდა... ამოდ გაგზავნა მთავრობამ კოკოცკევი ევროპის ცნობილ ბანკირებთან მოლაპარაკების გასამართავად, ამაოდ ცდილობდა თვით ვიტტე კაპიტალისტების გულის მოგებას, — ევროპის ბირჟამ თავის უნდობლობაზე ხელი არ აიღო და გადასწყვიტა მოუცადოს იმ დროს, როცა რუსეთის შინაური საქმეები გარკვეულ სახეს მიიღებენ და ხალხის ცხოვრება რამე კალაპოტში ჩადგება.

შინ, თვით რუსეთში, ამოდენა ფულის შოვნა ყოველად მოუხერხებელია. გადასახადების მომატებით შემოსავალს ვერ მოუმატებენ, ვინაიდან რუსეთის საფინანსო სისტემა არა პირდაპირ გადასახადებზე არის აგებული; გადასახადის მომატება რომელიმე საქონელზე შეამტირებს ამ საქონლის გაყიდვას, რის გამოც გადასახადის რაოდენობამ, მომატების მაგივრად, შეიძლება კიდევაც იკლოს; პირდაპირი გადასახადი კი რუსეთის ბიუჯეტში სულ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. და საზოგადოდაც რა გადასახადის მომატება შეიძლება იქ, სადაც მთავრობისაგან ხალხის „დამშვიდებამ“ მოსპო სახელმწიფოში ეკონომიური ზრდა სადაც „ხულიგანების“ თავდასხმამ ხალხის დიდი ნაწილი ეკონომიურად დასცა და ულუკმა-პურად დააგდო. მშვიტ-მწყურვალად დატოვებულ ხალხს ახალ ან მომატებულ გადასახადის ატანა არ შეუძლია, ვერავითარი ძალა, თოფ-ხარბაზნების გრიალი, ტყვია, ხმალი და სახრჩობელა დარბეულ ხალხში ეკონომიურ კეთილდღეობას ვერ შექმნის და ხალხს გადასახადის შემოტანას ვერ გაუადვილებს. ამიტომ შინ შემოსავლის ღაქლება არის მოსალოდნელი და არა მისი ზრდა და მომატება; ამიტომ ხალხის იმედი ზემო აღნიშნულ 300 მილიონის გადასახდელად მთავრობას ვერ ექმნება, და ამ ფულის საშოვნელად იგი იძულებული ხდება საქმე ისევე ევროპის კაპიტალისტებთან მოაწყოს.

მართალია, ვახეთებში აქა-იქ ცნობები იყო მოთავსებული, ვითომც მთავრობას ფულის საშოვნელად გადაეწყვიტის სხვა და სხვა არა-ჩვეულებრივ ზომების მიღება, ვითომც მთავრობას უნდოდეს, მაგ., რკინის გზების უცხოელებზე, რუსეთის რომელიმე ნაწილზე ხელს შეწყობა. ოცნებები კონცესიების გაცემა, ამა თუ იმ შემოსავლის დავირავება და უცხოელთა საფინანსო

კანტროლის მიღება, მა რამ ყველა ეს ზომა, საზოგადოების თანამედროვე გამოფხიზლების დროს, თითქმის საფიქრებელიც არ ირის, ვინაიდან ასეთ ზომების მიღება მთავრობის ერთგულ წრეებსაც მის მოწინააღმდეგეებად გახდიდა და ამით მხოლოდ დააჩქარებდა ძველ წყობილების საშუალოდ დამხობას. მართლაც, ის „ნამდვილი“ რუსები, რომელნიც რუსეთში რუსების გაბატონების სურვილით არიან გატაცებული და მუდამ რუსეთის მთლიანობაზე ღაპარაკობენ, — ძნელად თუ შეურიგდებიან მთავრობისაგან რუსეთის დანაწილებას და რუსეთში უცხო ელემენტების გაბატონებას.

საზოგადოების აზრი და ხალხის სურვილი, ყველა კლასებისაგან ერთნაირად გამოიქმნელი, ისეთი ძალაა, რომლის წინაშე თვითმპყრობელი მთავრობაც კი ქედს იხრის და მორჩილებას აცხადებს, — და ყველა ზემოხსენებული „განსაკუთრებული“ ზომები ხალხს უთუოდ გააერთიანებდა და საერთო პროტესტს გამოიწვევდა.

ამიტომ გვგონია, რომ მთავრობა იძულებული გახდება ისევე ევროპის კაპიტალისტებს მიმართოს და მათ დასამშვიდებლად რუსეთის „დამშვიდებას“ ეცადოს. ამ „დამშვიდებას“ გამომხატველი სახელმწიფო სათათბიროა, რომლის მოწვევით მთავრობამ ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ძალებიც მონაწილედ ხდებიან მის მოქმედებაში და სესხის აღებაზე თანხმობას აცხადებენ. კანონიერად მოწვეულ სათათბიროს თანხმობა მთელ ხალხისათვის შემდეგ სავალდებულო იქმნება, რადგანაც სარევოლუციო ტალღა, რომელმაც ძირი გამოუთხარა თვითმპყრობელობას, საზოგადოების ფართო წრეების შეერთებულ მოქმედებას ჯერ ხანად ვერაფერს დააკლებს და ხალხი, როგორც ერთეული, სათათბიროს ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე უარს ვერ განაცხადებს.

დღეს მთავრობამ გარკვევით გამოაცხადა, რომ სათათბირო უთუოდ მოწვეულ იქმნება, და მოწვევის დღეც უკვე აღნიშნა; მას ეჩქარება! ფული საქირო არის და ფულის მიღება კი ამ სათათბიროზედ არის დამოკიდებული.

ამ მხრივ მომავალ სათათბიროს ძლიერი იარაღი ექმნება ხელში, რომ მთავრობას რუსეთში ნამდვილი კონსტიტუცია შემოაღებინოს. საზღვარგარეთის სხვა და სხვა ქვეყანაში ხალხს სწორედ ამ საშუალებით მიუღია თავისუფლება: მფევებს ფული უქირდათ, ხალხის წარმომადგენლები კი გადასახადების შემოღებაზე თანხმდებოდნენ მხოლოდ იმ პირობით, რომ მეფეს ხალხისთვის რომელიმე უფლება მიეცა. აქაც მთავრობას სათათბიროს თანხმობა სჭირია, უიმისოდ იგი გაკოტრებულია ხარჯებს ვერ გაისტუმრებს და მანც იძულებული გახდება თავი დაანებოს თავის ბატონობას სახელმწიფოში...

ზოგიერთები შიშობენ, მთავრობა სათათბიროში მხოლოდ თავის ერთგულ წარმომადგენლებს შეუშვებს და მათგან თანხმობას ადვილად მიიღებსო, მაგრამ ასეთი შიში დიდი გადაჭარბება. ევროპა მთავრობას თუ არ ენდობება, მას არც მთავრობის ერთგულ წრეების ნდობა ექმნება; ევროპას ფართო წრეების თანხმობა სჭირია, საზოგადოებაში მოქმედ ახალ ძალების თანხმობა უნდა, და ამ ძალებს გაქირავებაში ჩავარდნილი მთავრობამ სათათბიროს კარები თუ სრულიად ჩაუკეტა, ამითი ანკაპიტალისტების ნდობას ვერ მოიპოვებს და გაქირავებულე რ ამოძვრება...

სწორედ ამიტომ არ არის საფიქრებელი, რომ მთავრობა 20 თებერვალს გამოცემულ კანონით ისარგებლოს, ურჩი სათათბირო დიობოვოს და ახალ სათათბიროს მოწვევამდის თავის ნებით დაიწყოს რამე საფინანსო ოპერაციები, რადგან

ნაც ახლანდელ მთავრობას თუ არ აქვს საკმარისი ნდობა ევროპის ბირჟზე, კიდევ ნაკლები ნდობა ექმნება მას მაშინ, როდესაც სათათბიროს დათხოვნით მთავრობა საჯაროდ დაამტკიცებს, რომ საზოგადოების „გაცხრილული“ ძალებიც კი მას წინააღმდეგობას უწევენ და მის მოქმედებაში პასუხისმგებლობას არ კისრულობენ.

თოფ-ზარბაზნებს და ტყვია-წამალს მხოლოდ გარეგნად შეუძლია ხალხში „მშვიდობიანობის“ ჩამოგდება; ხალხის შეერთებული საოპოზიციო ძალები ბოლოს მაინც გაარღვევენ იმ კედელს, რომელიც უშლის მათ თავისუფალ განვითარებას. მთავრობის საფინანსო გაკვირვება ასუსტებს ძველ წყობილების მომხრეთა ძალას და ხალხის საბოლოო და სრულ გამარჯვებისათვის ნიადაგს ამზადებს. საქირთა სათათბიროში, რაც შეიძლება, მეტი საოპოზიციო ძალების შესვლა, რომ მათ შესაფერად გამოიყენონ ეს გაკვირვება და, „მთავრობის თამაშებზე“ ბლანკის მიცემის მაგიერად გადაჭრით მოითხოვონ სრულ კონსტიტუციის შემოღება რუსეთში, საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით ამორჩეულ საერო კრების მოწვევა რომ ხალხმა თვითონ მოახდინოს თავის საერთო საქმეების მართვა და გამგეობა. საქირთა, რომ ევროპამაც მოისმინოს არჩეულ საოპოზიციო წარმომადგენელთა გაბედული პროტეტი, რომელსაც იქ, სათათბიროში მით უფრო დიდი ფასი და მნიშვნელობა ექმნება, რომ სათათბიროს გარედ დარჩენილი ხალხი ამ პროტესტს თავის გადაჭრილ თანაგრძნობას საჯაროდ გამოუცხადებს. ს. კ.

გ ა კ ვ რ ი თ

დღეს აღარ არის არც ერთი, ცოტაოდნად მაინც შეგნებული, ადამიანი, რომელიც სრულგზობით განზე იდგეს და თანამედროვე საზოგადო ცხოვრებას არ უკვირდებოდეს. ცხოვრების ჩარხმა თავის ტრიალში ისინიც კი ჩაითრია, ვინც წინეთ მხოლოდ თავის თავზე ზრუნავდა და ხალხის დაღუპვას თუ კეთილდღეობას არაფრად აგდებდა. დღეს ყველა გრძნობს, რომ არ შეიძლება კერძო ადამიანის ბედნიერება იქ, სადაც ხალხი კენესის და სისხლში იწურება, და რომ საერთო კეთილდღეობის შექმნა შეიძლება მხოლოდ იმ საზოგადო პირობების მოსპობით, რომელიც ახლა ხელს უშლის ხალხის ბედნიერებას.

თავი დავანებოთ დროებით იმ სისაძაველს, რომელიც ახლა „რეაქციის“ სახელით ხდება რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში, ნუ გავიხსენებთ ხალხის პოლიტიკურ უუფლებობას, რომელიც ახლა ყველასათვის აუტანელი შეიქმნა. აკი ამბობენ რეაქციის მომხრენი, რომ ხალხი რუსეთში პოლიტიკურ თავისუფლებისათვის ჯერ კიდევ „მომწიფებული“ არ არის, რომ ყველა ის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება, რომელიც ევროპის ყველა სახელმწიფოში დიდი ხნის შემოსულია, რუსეთის ხალხისთვის მეტ ბილად უნდა ჩაითვალოს და ამიტომ მისი შემოღებაც აქ ჯერ საქირთა არ არისო. დავუკვირდეთ ხალხის ქონებრივ მდგომარეობას. კაპა-სმისთვისაც ხომ ხალხის „მომწიფება“ არ არის საქირთა...

მიწის ყოველ დღიურზე ხორბლეულობის მოსავალი საშუალო რიცხვით მოდის ბელგიაში 120 ფუთი, ინგლისში 123 ფ., შვედეთში 124 ფ., შვეიცარიაში 125 ფ., გერმანიაში 126 ფ., რუსეთში კი მხოლოდ 30 ფუთი.

მდგომარეობა თანდათან უარესდება. ათი წლის განმავლობაში მოსავალმა 200/0 იმატა, ხალხის რაოდენობამ კი

400/0,—ყოველ მცხოვრებზე ახლა წინანდელზე ნაკლები მოდის მოსავალი საშუალო რიცხვით და მართლაც შიდა რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში ათიქმის განუწყვეტელი შიმშილობაა, ხალხი შიმშილისაგან სივდება, სნეულდება და იხოცება. წრეთულს კიდევ 20 გუბერნიაში ხალხი მშვივრად არის დარჩენილი...

და, განა, მარტო ხორბლეულობის რაოდენობით არის ჩამორჩენილი რუსეთი? ყოველი ინგლისელი წელიწადში 105 გირვანქა შაქარს სჭამს, შაქარს, რომელიც ადამიანს გამოსაკვებად ახლა თითქმის აუცილებელ ნივთიერებად არის მიჩნეული, რუსეთში კი თითო ადამიანზე წელიწადში 11 გირვანქაც არ მოდის.

დამშუულ ხალხში ადამიანის სიკვდილიც უფრო ხშირია: ყოველ ათას მცხოვრებზე იხოცება ყოველწლიურად შეცდიაში 17 ადამიანი, ინგლისში 19, საფრანგეთში 25, რუსეთში 35.

და რატომ არის ასეთი უნუგეშო მდგომარეობა? ნუ თუ რუსეთში საკმარისი მიწა არ არის, ნუ თუ მთავრობას შემოსავალი არ აქვს და არ შეუძლია, ამიტომ, ფული ხალხში კეთილდღეობის დამყარებას მოახმაროს?

ხაზინის ყოველწლიური შემოსავალი ათას მილიონ მანეთზე მეტია... მაგრამ ეს აუარებელი ფული ისე იხარჯება, რომ ხალხისათვის თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

მართლაც, 280 მილიონი მანეთი ყოველ წელიწადს მხოლოდ სახელმწიფო ვალების სარგებელს უნდება. ყოველი ჩვენგანი წელიწადში ორ მანეთს იხდის ამ სარგებლის გასასტუმრებლად. ჯარების შენახვაზე იხარჯება წელიწადში 420 მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც სწავლა განათლების საქმეზე მთავრობა 3 მილიონ მანეთსაც ძლივს-ძლივობით იმეტებს. ყოველ ადამიანს ხვდება ჯარების შესახებად 3 მან. 50 კაპ., სასწავლებლებისათვის კი მხოლოდ 30 კაპ. ევროპაში საქმე ასევე მოწყობილი არ არის. —შვეიცარიაში, მაგ., თითო მცხოვრები იხდის ჯარზე 1 მან. 50 კაპ., სასწავლებლებისათვის კი 1 მ. 55 კ. სწავლა-განათლებისათვის — 3 მილიონი... გუბერნატორების და პოლიციელებისათვის კი რუსეთის ხაზინას ყოველწლიურად ეხარჯება 93 მილიონი მანეთი. სატუსაღოებისთვის 14 მილიონი, სტრატეგიებისთვის 10 მილიონი უწმინდესი სინოდი რუსეთის ხალხს ყოველწლიურად 29 მილიონი მანეთი უჯდება.

და ამიტომ გერმანიაში ყოველ ას მცხოვრებზე წერაკითხვის მკოდნა 98, შვედეთში 92, შვეიცარიაში 90, საფრანგეთში 85, რუსეთში კი მხოლოდ 16 და ამას განაპირა ადგილები რომ გამოვაკლოთ, სადაც წერაკითხვა უფრო გავრცელებულია, შიდა რუსეთში წერაკითხვის მკოდნა რიცხვი კიდევ ზემოაღნიშნულ ციფრზე ნაკლებიც იქმნება.

სწავლის მიღება აკრძალული ხლია რუსეთში, სამაგიეროდ სმა აკრძალული არ არის; ხალხის ლოთობა საქირთა არის ხაზინის შესახებად; რუსეთის ხალხმა დღეს სმაზე ხელი რომ აიღოს, ხაზინას გაკოტრება მოელოს. აკი ამიტომ მთავრობა აღშფოთდა, როდესაც გლეხთა კავშირმა გადაწყვიტა სოფლებში ლოთობის მოსპობა, — ასეთი გადაწყვეტილება მთავრობამ სარეველუციო მოქმედებად მიიჩნია და სასტიკად დასაჯა ისინი, ვინც ხალხს სპაში ზომიერებას ურჩევდა: მართლაც, ხაზინას არაყის გაყიდვით აქვს ყოველწლიურად წმინდა შემოსავალი... 525 მილიონი მანეთი! თუთუნზე... თითქმის 50 მილიონი!

სხვა და სხვა გადასახადის სახით ხაზინა მძიმე ტვირთად აწვება კისერზე ღარიბ ხალხს. შაქარი, მაგალითად, საზღვარ

გარედ თუმცა იქმევა, ვიდრე რუსეთში, — იმიტომ, რომ იგი რუსეთში დაბაჟულია. გირვანქა შაქარი რუსეთში როცა ღირს 17¹/₂ კაპ, საზღვარ გარეთ რუსეთიდან გატანილი იყიდება 4 კაპ. გირვანქა, რადგანაც მთავრობა საზღვარ გარედ გატანილ შაქარზე ბაჟს არ იღებს, ბაჟი მხოლოდ რუსეთში დარჩენილ შაქარს ხვდება. ამ ბაჟის სახით ხაზინას შემოსავალი აქვს წელიწადში 74 მილ. მანეთი. თითო ფუთ ნავთზე ხაზინა ხომ 60 კაპ. ბაჟს იღებს, ამ სახით მას 34 მილ. მანეთი შემოსდის.

საზღვარ-გარედ რომელიმე საქონელი თუ იაფად კეთდება და რუსეთში შემოდის, ხაზინა მასაც ბაჟს ადებს და ამნაირად შეუძლებლად ხდის ამ საქონლის სიიფეს. ფუთი ლურსმანი, მაგ., რუსეთში ღირს 3 მანეთი, ამერიკაში კი მხოლოდ 42 კაპ.

ამნაირად, ხალხისთვის სხვა და სხვა საქონელი საქონელზე ბაჟის დადებით ხაზინას 1904 წელს შემოუვიდა თითქმის 950 მილ. მანეთი. — ეს არის არა-პირდაპირი გადასახადი... ამ არა-პირდაპირ გადასახადს იხდის ადამიანი არა თავის ქონების და შემოსავლის მიხედვით. ღარიბ კაცს იმდენივე შაქარი სჭირია როგორც მდიდარს, იმდენივე პური, იმდენივე ნავთი და სხვა და სხვა საქონელი, — იმიტომ ცხადია, რომ იგი იმდენსავე არა პირდაპირ გადასახადს იხდის. რამდენსაც იხდის მდიდარი. ასეთი წესი უსამართლოა, — ყველამ თავის შემოსავლის კვალობაზე უნდა იკისროს სახელმწიფო გადასახადი, მაგრამ ღარიბ ხალხს დღეს სახელმწიფოში უფლება არა აქვს მინიჭებული, მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ხმა აღიმალლოს და მოსპოს ხსენებული უსამართლობა.

თვით პირდაპირი გადასახადიც ღარიბებს შედარებით უფრო მძიმე ტვირთად აქვთ დაკისრებული. შიდა რუსეთში ზოგან გლეხის მიწა იხდის წლიურად 2 მან. 10 კაპ., აზნაურების მიწა კი მხოლოდ 23 კაპ.; კურსკის გუბ. გლეხი იხდის დღიურზე 2 მან. 84 კაპ., აზნაური — 48 კაპ. ამას საეკრობო გადასახადი 41 კაპ. რომ გამოვაკლოთ, რომელიც გლეხზე და აზნაურზე თანასწორად გაწერილია, გამოვა, რომ გლეხის მიწა ხაზინის სასარგებლოდ იხდის წელიწადში 2 მან. 42 კაპ., აზნაურის კი მხოლოდ 5 კაპ., ე. ი. გლეხისაზე 48 ჯერ ნაკლებს...

რად უნდა გადაიხადოს მეტი ადამიანმა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამა თუ იმ წოდებაშია დაბადებული?..

სულ საადგილმამულო გადასახადის სახით ხაზინაში თითქმის 50 მილიონი მანეთი შემოდის... ეს გადასახადი მხოლოდ კერძო მესაკუთრეთა მიწებს ხვდება...

რამდენი მიწაა რუსეთში? მარტო ევროპის რუსეთში (დონის ოლქს გარდა) მთავრობის გამოანგარიშებით ყოფილა 391 მილიონი დღიური. ხაზინას ამაში ეკუთვნის 150 მილ. დღიური, საუფლისწულოა 7,5 მილ., საეკლესიო და სამონასტრო — 8,5 მილ, გლეხთა საზოგადოებებს ეკუთვნის 131 მილ. და კერძო მესაკუთრეებს — 93 მილ.

ციმბირი ევროპის რუსეთზე სამჯერ უფრო დიდია იქ 1,200,000,000 დღიური მიწაა. ამაში ხაზინას ეკუთვნის 1,150,000,000 დღიური, ხელმწიფის კერძო საკუთრებას შეადგენს 42,500,000 დღიური, კერძო საკუთრებას შეადგენს მხოლოდ 500 დღიური..

იმ 93 მილიონ დღიურში, რომელიც ევროპის რუსეთში კერძო მესაკუთრეთა ხელშია, 1,800,000 სხვადასხვა საზოგადოებას ეკუთვნის. ამნაირად, ნამდვილი კერძო საკუთრებაა 91,000,000 დღიური, — კერძო მესაკუთრეთა რიცხვი კი — 481,000

მათ ხელში ზემოაღნიშნული მიწა ასეა განაწილებული (იხ. „სტატისტიკის“ წიგნაკი):

საკუთრების სიერცე	მესაკუთრეთა რაოდენობა	სულ აქვთ
10 დღიურამდის	244,376	959,450
10 — 100	160,165	5,82,218
100 — 500	47,482	11,325,987
500 — 1000	13,169	9,33,877
1000 — 5000	13,458	27,559,541
5000 — 10,000	1,144	9,876,615
10000-ზე მეტი	924	27,231,154
	481,358	91,605,845

ამნაირად, მთელ კერძო საკუთრების ერთი მესამედი ნაწილი ათას კაცის ხელშია, წვრილი მესაკუთრე (10 დღიურზე ნაკლების მქონე) 263 ჯერ მეტია, ვიდრე მსხვილი, თითო მსხვილ მესაკუთრეზე საშუალო რიცხვით მოდის 29 ათასი დღიური, წვრილზე კი მხოლოდ 3 დღიური..

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მესაკუთრე და ყველაზე უფრო მდიდარია რუსეთში თვით ხელმწიფე და მისი გვარეულობა. მას და მის სახლობას ხაზინიდან ყოველ წლიურად ეძლევა სახარჯოდ 12,800,000 მანეთი, ე. ი. დღეში 35,000 მანეთი.

ამას გარდა ხელმწიფის გვარეულების სასარგებლოდ მდიდის საუფლისწულო მამულების შემოსავალიც. საუფლისწულოა 7,5 მილიონზე მეტი დღიური. 1897 წელს ამ მიწამ შემოიტანა 20 მილიონი მანეთი შემოსავალი, რომელიც ხელმწიფის სახლობას მოხმარდა. ხელმწიფეს თითქმის 2 მილიონი დღიური იჯარით გაცემული აქვს. ყველაზე უფრო დიდი ღვინის ვაჭრობა რუსეთში საუფლისწულო უწყებს აქვს, 1897 წ. მან 2 მილ. ბოთლი ღვინო გაჰყიდა.

ამას გარდა პირადად ხელმწიფეს ეკუთვნის ციმბირში 42,500,000 დღიური (ალტაის ოლქი), აგრეთვე რამოდენიმე დიდი მამული ევროპის რუსეთში, მაგ. ლივადია ყირიმში ხელმწიფეს ეკუთვნის, ეგრეთვე რამდენიმე დიდი ქარხანა. ხელმწიფის შვილებს დაბადების დღიდან ეძლევა ხაზინიდან წელიწადში 33,000 მანეთი თითოს. სრული წლოვანობისას კი თითოს სახლის მოსაწყობად ხაზინიდანვე ეძლევა კიდევ თითო მილიონი მანეთი (იხ. კანტოროვიჩის წიგნი).

აქ ჩათვლილი არ არის ის ნაღდი ფული, რომელიც ხელმწიფის გვარეულობას ბანკებში შენახული აქვს, და მისი სარგებელი, რადგანაც ამისი ნამდვილი ცნობა ოფიციალურად გამოცხადებული არ არის..

ხელმწიფის მიწები, მისი ქარხნები, საუფლისწულო უწყების ვაჭრობა ყოველივე გადასახადისაგან განთავისუფლებულია, მის მიწებს ის მცირე გადასახადიც არ ხვდება, რომელიც გაწერილია თავად-აზნაურთა მამულებზე რუსეთში..

საზღვარ-გარედ, სადაც ხალხის წარმომადგენლობა არის შემოღობული და სადაც სახელმწიფო საქმეების მართვა და გამგეობა თვით ხალხის ხელშია, ცდილობენ ისე მოაწყონ საქმე, რომ სახელმწიფო გადასახადი ყველას ხვდეს მის ქონებისა და შემოსავლის მიხედვით; რომ მდიდარმა ღარიბზე მეტი იხადოს და რომ მოსპოს ამაში ყოველივე პრივილეგია. იქ სახელმწიფო უფლება ხალხის უმეტესობის ხელშია და ამიტომ ყოველი ზომა, მთავრობისაგან მიღებული, ხალხის უმეტესობის სასარგებლოდ რჩება.

იქ კი, სადაც სახელმწიფოში მხოლოდ ერთი რომელიმე კლასია გაბატონებული, ხალხის უმეტესობა დაწავრული რჩება და გაბატონებულ უმცირესობას ყოველი უპირატესობა და გადასახადების ყოველივე შეღავათი ეძლევა. უფლების

მქონე თავის სასარგებლოდ იყენებს, უფლებას და რაც უფრო მცირეა უფლებების მქონეთა რიცხვი, მით უფრო დაზარალებული და დაქვეითებული რჩება ხალხის უმეტესობა...

უფლების მქონეთათვის ამ უფლებაზე ხელის აღება ძნელი და საზარალოა. ეს უფლება მათთვის საჭირო არის იმ პრივილეგიების და უპირატესობის შესარჩენად, რომელიც უნდა მოისპოს, თუ სახელმწიფოში ბატონად ხალხი შეიქმნა. ამ უფლებას ისინი ეპოტინებიან, მას ყოველივე ძალდონით იცავენ, მის შესარჩენად არ უშინდებიან სისხლის ღვრას და ხალხის აწიოკებას...

მაგრამ ახლანდელი მდგომარეობა ხალხისთვის აუტანელია.. მუდამ შიმშილი, დამშუულ კუჭზე ლოთობა და აუარებელ ფულის გადახდა ისეთ რამეებისთვის, რაიც ხალხს ზედ მეტად სწავრავს და აქვეითებს, — მომაკვდავსაც გამოაფხიზლებს და ძალდონეს შემატებს ძველ წყობილებასთან საბრძოლველად. ხალხი მიადწევს მიზანს ჭ საბოლოოდ დაიპყიდრებს იმპოლიტიკურ უფლებებს, რომელიც საჭიროა პრივილეგიების მოსასპობად და მთავრობის საფინანსო მოქმედებაში და შინაურ საქმეების მართვა-გამგეობაში სამართლიანობის დასამყარებლად...

ამის თავდები ევროპის მაგალითია. **შეაფასე უკურ.**

იუმორი ძველმედიის სემპრამბაში

იუმორი, როგორც ეროვნული თვისება, მხოლოდ სამხრეთისაკენ მცხოვრებ ერებს აქვთ, — იქ, სადაც ხალხი საზოგადოდ მხიარულია, მოძრავი, დაუდგარი. ჩრდილოეთისაკენ იუმორი უფრო იშვიათია, თუმცა იქაც ხანდახან შეგვხვდება დიდი იუმორის პატრონი ადამიანები. რუსებში, მაგ, იუმორი გავრცელებული არ არის, მაგრამ მათ შუკქმენს შესანიშნავი იუმორისტი მწერალი გოგოლი, მუდამ მხიარულ და დამცინავ იტალიელებში კი ცნობილი ბოკაჩიოს შემდეგ არც ერთი გამოჩენილი იუმორისტი აღარ დაბადებულა. აგრეთვე გერმანელებსა ჭ ინგლისელებში ხშირად შეგვხვდება იუმორისტული მწერალი, მათ ნაწერებში ნაკვეთებს და უბრალო სიმახვილესაც ბევრი ადგილი უჭირავს, რომელსაც იუმორთან არაფერი საერთო არა აქვს, რადგანაც შეიძლება ადამიანი ძალიან დინჯი იყოს და მასთან ენამახვილიც.

იუმორი ხასიათის თვისება არის, სიმახვილე კი კუთხის თვისება ორივე ხსენებული თვისება ერთ ადამიანში თუ არის შეერთებული, — მას სახელად ერქმევა vis comica, — კომიკური ძალა ან ნიჭი, რომელიც ადამიანის ხასიათსა და მოქმედებაში და ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენაში სასაცილო მხარეებს ადვილად აღმოაჩენს და გვიჩვენებს. კომიკური ნიჭი შეიცავს სიტყვის კომიკურ ნიქსაც; ამ ნიჭის მქონე ადამიანი უბრალოდ, სულ უშინშენილო რამესაც სასაცილოდ გადმოგვცემს.

ყველა ეს თვისება ფრანგებს აქვთ, მათი მწერლობა მდიდარია იუმორისტულ და კომიკურ ნაწარმოებით. მათი კომედიები უკანასკნელ ხანამდის ყოველთვის სამაგალითოდ ითვლებოდა. იუმორისტული რომანიც საფრანგეთში მეტად განავითარეს და მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ალფონს დოდემ აქ გამოსცა თავისი შესანიშნავი თხზულება: „ტარტარენ ტარასკონელი“.

საფრანგეთის იუმორი ლექსებშიაც თავს იჩენს, თანამედროვე ცხოვრების აღწერაში და ფელეტონებში; მაგრამ მის განვითარებისათვის საჭირო იყო შესაფერი ნიადაგი, რომელსაც იძლეოდა საფრანგეთის საზოგადო ცხოვრება.

მართლაც, ცხოვრებამ მხოლოდ მასალა როდი უნდა მისცეს იუმორისტულ თხზულების დამწერს, — ამისთვის საჭიროა აგრეთვე შესაფერი გუნებაც, რომელიც ფრანგებს ყოველთვის ჰქონიათ.

ქართველებში ყველა პარობა არსებობს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მდიდარ იუმორისტულ მწერლობის განვითარება, მაგრამ აქ ჯერ არც ეროვნული იუმორისტული რომანი არ არის და არც ცნობილი ორიგინალური კომედიები. მართალია, რომ კომედიების ნიჭიერი მწერალი საზოგადოდ იშვიათია და ამიტომ ქართულ მწერლობის ახლანდელ მდგომარეობაში ძნელი მოსალოდნელიც არის მისი გაჩენა, მაგრამ საამისო ცდა მაინც უნდა იყოს, რადგანაც იუმორისტულ მწერლობაში პირველ სუსტ ნაბიჯს სხვა უფრო გაბედული მოჰყვება შემდეგში.

ქართული იუმორი მხოლოდ ყოველად ცნობილ ტიპებს ეხება, მწერლობაში მოძველებულებს, — ცხოვრება კი მუდამ იცვლება, ახალ მოვლენებს ჰქმნის, რომელიც მწერლობისათვის, საუბედუროდ, დღეს კიდევ შეუშინველი რჩება.

უფრო ხშირი ტიპი ქართულ იუმორისტულ მწერლობაში არის მფლანგავი თავდი, რომელიც თავის ქონებას სქამს და არ ფიქრობს თავის თავზე და თავის ბავშვების მომავალ ბედზე არ ზრუნავს. მაგრამ ეს მოქიფე დღევანდელ ცხოვრებაში ის აღარ არის, რაც ამ ოცის წლის წინეთ ყოფილა: იგი გაღარიბდა და იუმორისტული მწერალი მას დიდ ფულის მხარჯველად ვერ გამოიყვანს, ახლა მან მხოლოდ არ ოცის თავის მოთხოვნილებათა შეზღუდვა. მოქიფეთა ტიპი დაქუცმაცდა, სადაც წინეთ ათი ათასობით იხარჯებოდა, ახლა ასობითაც ფული არ არის. აღარ არსებობს წინანდელი სიმდიდრე, დარჩა მხოლოდ დაუდევრობა, თადარიგანობის უქონლობა, უმუშევრობა.

ყველა ეს ნაკლი, ზოგიერთის აზრით, მხოლოდ თავდადაზნაურების თვისებად არის ჩასათვლელი, მაგრამ ნამდვილად იგი სხვა წოდებებშიაც შეგვხვდება, — ამიტომ სიმართლესთან უფრო ახლო იქმნება, თუ მათ ეროვნულ ნაკლის სახელი ვუწოდეთ. მაგრამ სასაცილოდ დარწმუნა არავის არ უყვარს, ყველა ცდილობს თავის ნაცნობებსა და მეზობლებში მონახოს ყოველნაირი ნაკლი, თავისი თავი კი უნაკლულად გამოიყვანოს. ასევე სხვა და სხვა წოდება ერთმანეთს იგდებს მასხარად.

განა ცხოვრება იუმორისტისათვის ცრტა მასალას იძლევა? ავიღოთ, მაგ., ადამიანი, რომელიც სხვის რჩევას უფრს უგდებს, მაგრამ არ ისმენს, ამის გამო ათასნაირ შეცდომაში ვარდება და სასაცილოდ ხდება. ამნაირი ტიპია, მაგ., სერვანტისის ცნობილი გმირი დონ-კიხოტი. ვისაც წაუკითხავს დონ-კიხოტის ცხოვრება, დაგვეთანხმება, რომ ქართველებშიაც დონ-კიხოტისებური ხასიათი მეტად ხშირია. ოცნება და სინამდვილე მათ წარმოდგენაში არ ირჩევა, ოცნებით გატაცებულები სხვა და სხვა შეცდომაში ვარდებიან.

გავიხსენოთ სხვა ადამიანი, რომელიც ცდილობს ნაცნობებში გამოჩნდეს, — ღარიბ ქალს ირთავს და მდიდრულ ქორწილს იხდის. თქვენც ამ ქორწილში ხართ, ხედავთ მასპინძლის კმაყოფილ სახეს და ფიქრობთ, რომ ამ ქეიფს დიდი მარხვა მოჰყვება.

ავიღოთ მემამულე, რომელიც ქალაქ ადგილას ჩამოდის, რომ მეორედ ან მესამედ გადაიგირავოს თავისი მამული; — მდიდარ სასტუმროში ჩამობტა, არაფერს იკლებს, ნაცნო-

ბებს უმასპინძლდება, ეტლით დასეირნობს, თეატრებში დიდს და სიამოვნებს. აგერ ბანკიდან ფული მიიღო, მაგრამ, ხარჯები რომ გაისტუმრა სასტუმროში, შინ წასადებად თითქმის აღარაფერი დაურჩა.

ქართველი საზოგადოდ ადვილად იწყებს ოცნებას, მას არ უყვარს შესაძლებელისა და შეუძლებელის აწონდაწონა და ამიტომ იგი ხშირად სტყუვდება კიდევ.

შეგროვდებიან, რამე სავაჭრო ამხანაგობა დაეაარსოთო; მოქიშვე თუ უხსენე, გიპასუხებენ, მოქიშვესი არ გვეშინიაო, ჩვენისაკუთარ ძალ-ღონის იმედი გვაქვსო, მაგრამ ბოლოს სწამდვილე სულ სხვას გვიმტკიცებს და გაკატრებული ამხანაგები ბედს სწყევლიან და თავის საკუთარ შეცდომებს ვერც კი ამჩნევენ.

უმაღლეს სწავლა-დასრულებული ახალგაზდა შინ ბრუნდება, როგორც ექიმი, მასწავლებელი და სხვა. მას თავისი საკუთარი საქმე აქვს, რომელსაც უნდა დაადგეს, რომ თავისი ცოდნა განივითაროს, მაგრამ ახალ ცოდნის შეძენაზე იგი არ ზრუნავს, მას „საზოგადო მოღვაწეობა“ მოუნდა. ავიწყდება, რომ საზოგადო მოღვაწეობისთვის საჭიროა შესაფერი ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება, მაგრამ მას „უნდა“ ასეთი მოღვაწეობა და მთელ თავის ღროს ანდომებს ლაპარაკს, კრებებში საირულოს, ცხარობს და მოწინააღმდეგეთ ეკამათება. ან რატომ არ ილაპარაკებს, ლაპარაკი ხომ გამუდმებულ მუშაობაზე უფრო ადვილი საქმეა...

როგორც ხედავთ, კომიკური ტიპი ბევრია ქართველების ახლანდელ ცხოვრებაშიაც.

რატომ არ გამოხატავს ყველა ასეთ მოვლენას ქართველების თანამედროვე მწერლობა? ნუ თუ იუმორისტული ნიჭი ქართველ მწერლობაში სრულებით არ მოიპოვება?..

იუმორი, როგორც ცხოვრების გამოხატველი, ცხოვრებაში შემოსულ სხვა და სხვა, არა-სასურველ მოვლენის ამწერა, — ძლიერი ძალაა რომელიც ხელს უწყობს ამ მოვლენათა გამოცნობას და მოსპობას.

იუმორისტულ მწერლობისთვის მასალა ბევრია, საჭიროა ამ მასალის გამოყენება. არტურ ლეისტა.

სიკვდილით დასჯა

თვითმპყრობელობის დამცველთა სახელით მომქმედი ძალები რუსეთში სიკვდილით სჯიან ყველას, ვინც გაბედა მათ საწინააღმდეგოდ ამხედრება და მოისურვა ახალ, უკეთეს წესწყობილების შემოღება სახელმწიფოში. სისხლის ღვრით, ხალხის დახვრეტით და ჩამოხრჩობით აპირებენ ისინი თავიანთ ბატონობის შერჩენას. სიკვდილით სჯიან, რომ შეაშინონ ხალხი და თავის სისასტიკით მასში ყოველივე ცვლილების სურვილი აღმოფხვრან. ჰგონიათ, რომ სისასტიკე ხალხს „გამაფხიზლებს“ და წინანდებურად მორჩილებას ასწავლის...

მაგრამ სიკვდილით დასჯა ახლად გამოგონილი საშუალება არ არის, მმართველთა სისასტიკე ხალხის დასამონებლად ისტორიას წარსულშიაც უნახავს. ყველგან, სადაც არსებულ უსამართლო წყობილებით აღშფოთებული ხალხი ცდილობდა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ის ჯგუფები, რომელთათვისაც სისარგებლო ყოფილა ეს წყობილება, საშინელ სისასტიკეს იჩენდნენ თავის ბატონების გასამარგებლად... და მაინც ხალხი ბოლოს გამარჯვებული რჩებოდა და სპობდა არსებულ უსამართლობას!

იქ, სადაც საზოგადო წყობილება სამართლიანობის პრინციპზე აგებულია, სადაც კანონი თანასწორად ეცილება ან იცავს ღარიბს და მდიდარს, სუსტს და ძლიერსაც, იქ ყველა ნებაყოფლობით ასრულებს ამაირ კანონს, მისი დაძალება საჭირო არ არის; მაგრამ იქ, სადაც კანონი არსებობს იმისთვის, რომ ძლიერს სუსტი დააჩაგვინოს, სადაც კანონი ხალხის უმეტესობას სახელმწიფოში გაბატონებულ უმცირესობის მონად ხდის, — ხალხს ეჯავრება ასეთი კანონი, ხალხი ცდილობს მის მოსპობას და გაბატონებული უმცირესობა თავის უპირატესობის შესარჩენად სხვა და სხვა სასტიკ სასჯელის საშუალებით ცდილობს ეს ყველასათვის საზარელი წყობილება არავის არ დაარღვევინოს.

ძველ ინდოეთში ხალხი რამოდენიმე ნაწილად, კლასად ან თოხუშად იყო. გაყოფილი მალალი კლასები ითვლებოდნენ ქვეყნის ბატონებად და მათ ხელში იყო სიმდიდრე, სწავლა-განათლება, მართვა-გამგეოვა და სამართალიც. ხალხის უმეტესობა კი, ყოველივე უფლებას მოკლებული, ვალდებული იყო გამუდმებულის შრომით ერჩინა ეს ბატონები. ხალხის უმეტესობა დამცირებული და დაქვეითებული იყო. სახელმწიფოში გაბატონებულ ჯგუფების რომელიმე წევრს შეეძლო გლეხის ცოლი თავისთვის წაეყვანა, წაერთმია გლეხისთვის სახლი ან სხვა რომელიმე ქონება.

ასეთი წყობილება ხალხს ეჯავრებოდა და ამიტომ ხალხის დასამონებლად შემოდებული იყო სიკვდილით დასჯა. მონა, რომელიც ინდოეთის საეკლესიო წიგნებში ჩიხვდავდა, ესალმებოდა სიცოცხლეს. სიკვდილით სჯიდნენ ქურდობისათვის, ენას სჭირდნენ მათ, ვინც გაბედავდა ბატონის შეურაცხყოფას.

ეს უსამართლო წესები ხალხს ეჯავრებოდა, ამ უსამართლობას იცავდა... სიკვდილით დასჯა.

ძველ საბერძნეთში 400.000 მონაზე იყო მხოლოდ 21.000 თავისუფალი მოქალაქე. ეს უმცირესობა სიმდიდრეში და ფუფუნებაში ცხოვრობდა, ფილოსოფიის შესწავლაში დროს ატარებდა და პოლიტიკოსობდა, უმეტესობა კი, მონები, მათ სარჩენად შრომობდა და იტანჯებოდა. უმეტესობის მონად დარჩენა საჭირო იყო უმცირესობისთვის და ამიტომ მონებში მორჩილების შესარჩერად სიკვდილით სჯიდნენ იმ მონას, რომელიც წელში გასწორებული მიდიოდა ქუჩაში და თავისუფალ მოქალაქესავით თავის მალა დაქერას ბედავდა.

რომში, სადაც მდიდრების ჯგუფი ხალხს ყვლეფდა, თვითონ კი ქეიფსა და გარყვნილებაში დროს ატარებდა, სხვა და სხვა სასტიკ სასჯელით იცავდნენ ამ თავზე ხელაღებულ უმცირესობის პრივილეგიებს. სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის ადამიანს ჰკლავდნენ, მხეცებს შესაქმელად უგდებდნენ. რომის სენატმა ერთხელ სიკვდილით დასჯა გაღუწვიტა 400 მონას იმისათვის, რომ ერთა მათგანმა, იკვიანობის გამო, მოკლა თავისი ბატონი. უმცირესობის გაბატონება, როგორც უსამართლო, ხალხს ეჯავრებოდა და ამ ბატონობის შესარჩენად ახშირებდნენ რომში სიკვდილით დასჯას...

სიკვდილით დასჯა საშუალო საუკუნეებში გახშირდა. სწორედ ამ საუკუნეებში იმატა უსამართლობამ, ხალხის დამონება და დაქვეითებამ, ამ საუკუნეებში ხალხი გამოფხიზლების გზას დაადგა... ხალხი ფეოდალების ნაძვლილი მონა იყო, მიწა ფეოდალებს ეკუთვნოდა, ფეოდალებს ეკუთვნოდა გლეხების შრომაც, ათასი სხვა და სხვა გადასახადი სულს უზუთავდა გლეხობას. გლეხი თავის საკუთარ ცოლსაც ვერ დაუკავებდა ბატონს... ფეოდალებს ნადირობა უკვარდათ და

სოფელს ამიტომ თავის ყანების შემორაგვა არ შეეძლო, არ შეეძლო ყანისთვის მანვე პირუტყვების და ფრინველების მოკვლა. ეს უსამართლობა ხალხს ეჯავრებოდა და სიკვდილით დასჯა იცავდა ამ უსამართლობას.

მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნეებში მატულს ფასი მოემატა და ინგლისის ფეოდალებმა ფულის მოსაგებად ცხვრების მოშენება დაიწყეს, მაგრამ საამისოდ დიდი საძოვარი ადგილები იყო საჭირო და მემამულეებმა დაიწყეს მოიჯარადრე გლეხების განდევნა და ყანების საძოვარ ადგილებად გადაკეთება. გლეხობა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, ულუკმპურათა და უსაქმო ხალხის რიცხვი მართა შოტლანდიაში ორას ათასამდე ავიდა...

ამ „მაწანწალობის“ მოსასპობად ინგლისის მეფეებმა შემოიღეს... სიკვდილით დასჯა. ჰენრის მერვეს მეფობაში 70,000 ღარიბი დასაჯეს სიკვდილით. დედოფალ ელიზაბეტას დროს 19,000 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს...

საშუალო საუკუნეების წყობილება ხალხს ყოველიფერს ართმევდა, ხალხი ამ უსამართლობის გამო აცხადებდა უკაცოფილებას და გაბატონებული უმცირესობა ჯალათებს გზავნიდა ხალხის „დასამშვიდებლად.“

საზოგადოდ თვალი რომ გადავაგლოთ კაცობრიობს წაასულ ცხოვრებას, ჩვენ დავინახავთ, რომ სიკვდილით დასჯა ყველგან უსამართლობას, ხალხის სიძულვილის გამომწვევე წყობილებას იცავდა; სიკვდილით დასჯა საჭირო იყო, რომ ხალხს მორჩილად აეტანა არსებული უსამართლობა, სიკვდილით დასჯა ხალხის დასამონებლად იყო საჭირო! ყველგან, სადაც ხალხი თავის უფლებებზე ხმას აღიმაღლებდა, მისი სისხლის მწოვლები დაუზოგავად სჯიდნენ „აჯანყებულებს“. ინკვიზიციამ სისხლით შეღება ქვეყანა „კუდიანების“ ძებნაში. რუსეთში იოანე მრისხანემ 300 კაცი ერთად სიკვდილით დასაჯა მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ მეფის ახლობელთა ძალმომრეობას. ნოვგოროდში ამავე მეფემ 60,000 ადამიანი დასაჯა სიკვდილით იმისათვის, რომ ეშინოდა, ვაი თუ ამ თავისუფლების მოყვარე ხალხმა ჩემი თვითმპყრობელობა არ მიიღოსო.

და თუ წარსულში სიკვდილით დასჯა ყოველთვის უსამართლობას იცავდა და ხალხის დამონებას ემსახურებოდა, ცხადია, რომ ამ სასჯელის გახშირებას ჩვენს დროშიაც იგივე მიზანი ექმნება.

მაგრამ წარსული გვიჩვენებს იმასაც, რომ ამ საშინელ სასჯელს თავის მახინსათვის ვერ მიუღწევია და ვერ შეუზღერებია სამუდამოდ საზოგადოების თანდათან განვითარება.

მონობა ყველგან მოისპო, მოისპო ბატონ ყმობაც გამოფხიზლებული ხალხი ევროპის ყველა სახელმწიფოში ბატონი შეიქმნა, და ყველგან უმეტესობის გაბატონებასთან ერთად შეიცვალა არსებული კანონები, მეტი სამართლიანობა შემოვიდა სახელმწიფოში და ამას სიკვდილით დასჯი შემცირებაც თან მოჰყვა. ევროპაში სიკვდილით დასჯა ახლა მეტად იშვიათია... იშვიათი შეიქმნა იგი იმიტომაც, რომ მას ხალხის სამუდამოდ დამონება არ შეუძლია.

ყოველივე დასჯას მიზნად აქვს 1) დაშინება, 2) საზოგადოების მანვე პირთა ჩამოშორება ან 3) ბოროტმოქმედის გასწორება.

სიკვდილით დასჯა არაფის არ შეაშინებს. უწინ ეგონათ, რომ სისხლის ღვრას შეუძლია თავისუფალ მისწრაფების მოსპობა. სიკვდილით სჯიდნენ საჯაროდ, ჩამოხრჩობილებს რამოდენიმე დღეობით სტოვებდნენ სახრჩობელაზე, დასაჯელ ადა-

მიანს აწამებდნენ, ცეცხლზე სწვავდნენ, ხარშავდნენ ზეთში, ხელ-ფეხს აკლიდნენ, თვალს სთხრიდნენ... მაგრამ „ბოროტმოქმედება“ ამითი არ ისპობოდა, — პირიქით, ხშირად უფროც გახშირებულა.

სიკვდილით დასჯა „მანვე“ პირთა ჩამოსაშორებლად ხომ სულ არ ვარგა. ვინ არის მსაჯული? ვინ იტყვის, რამდენად მანვე ხალხისთვის ესა თუ ის ადამიანი? ქრისტე მანვედ ჩასთვალეს იოანე გუსი კოცონზე დასწვეს...

კანონი იცვლება. ის საქციელი, რომლისთვისაც რევოლუციის წინ სარჩობელაზე გზავნიან, რევოლუციის შემდეგ ადამიანის „ხელუხლებელ უფლებად“ შემოდის. 1789 წლამდის საფრანგეთის მეფეები სხვებს სჯიდნენ სიკვდილით, 1793 წელს კი თვით საფრანგეთის მეფე დასაჯეს სიკვდილით.

ადამიანის, „ბოროტმოქმედის“ აღნიშნულ სასჯელით გასწორება არ შეიძლება, მოკლული არ გამოიცვლება.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა, შემცირების მაგიერად, ახშირებს ზოგიერთ ბოროტმოქმედებას. პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ დანაშაფეთა სიკვდილით დასჯა არაფის არ შეაშინებს. ასეთი „დანაშაფე“ დასახულ იდეალით არის გატაცებული, მას სწამს, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვის და ამ კეთილდღეობას იგი სწირავს შეგნებულად თავის თავს, თავის ქონებას, შრომას და სიცოცხლესაც. ასეთ კაცს სიკვდილით დასჯა არ შეაშინებს, — პირიქით, სწორედ ამ სასჯელის არსებობაც მას უსამართლობად მიაჩნია და ბრძოლისთვის მხნეობას და გატაცებას უმატებს. გაბატონებულ წრეების სისასტიკე ხალხის თვალში ზედმეტ საზულად ხდება, რომელიც ამტიცებს არსებულ წყობილების უვარგისობას.

გაბატონებულ უმცირესობის ძალმომრეობას კაცობრიობისათვის დიდი ზიანი მოუტანია. სიკვდილით დასჯა სიმართლისათვის მებრძოლთ ჰლეუავდა, ხალხის განთავისუფლების დამცველებს სიცოცხლეს უსპობდა.

საბერძნეთში ფილოსოფოსი სოკრათი დასაჯეს სიკვდილით. სოკრათის მოძღვრების წინ მუხლი მოიყარა მთელმ კაცობრიობამ, საბერძნეთის მსაჯულეებმა კი იგი სიკვდილი ღირსად აცნეს. მისი დანაშაული ის იყო, რომ ხალხს სიმპრთლეს ეუბნებოდა და მეთაურთა არარაობას ამკლავებდა მისი დანაშაული ის იყო, რომ ამა სოფლის ძლიერთა მონა მორჩილად არ გამოდიოდა.

იუდეაში ჯვარს აცვეს ქრისტე, დასწვეს მისი მოციქულები. მისი დანაშაული ის იყო, რომ ამ ქვეყნის ძლიერება და მტარვალთა ძალმომრეობას წინ აღუდგა და ხალხს ცხოვრებისთვის ახალი გზა გამოუჩინა.

საშუალო საუკუნეებში დასწვეს გუსი, რომელიც ამ ხელდა მაშინდელ სამდღელოების სისამაგლეს, თავი მოკვეთეს მიუნცერს, რომელიც გლეხობას ეუბნებოდა, რომ არსებულ დამონების და დაჭყაფების მაგიერად ამ ქვეყნად უნდა დამყარდეს თანასწორობა.

რუსეთში ახლა პირველი არ არის ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა სიკვდილით დასჯა. რუსეთის მეფეებს თავის ბატონობის შესარჩენად ათასობით ხოცავდნენ ხალხის საუკეთესო შეილებს. შეუბრალებელი იყვნენ იოანე მრისხანე და პეტრე პირველი. ვასილი შუისკიმ 4000 მოწინააღმდეგე აზნაური დაახრო მფეე ალექსი მიხეილის ძე ათასობით აკვლევინებდა იმათ, ვინც მის მხებლეთა ძალმომრეობაზე უკაცოფილების გამოცხადებას ბედავდა.

რუსეთში სიკვდილით დასჯა რამდენჯერმე მოსპობილად გამოუცხადებიათ მეფეებს, მაგრამ ცხოვრებაში მისი მოსპობა ჯერ კიდევ ვერას გზით ვერ მოხერხებულა. სანამ არსებობს ხალხის დამონება და სანამ სახელმწიფოში არ მოიხსობა გაბატონებულ წრეების აღვირახსნილი თვითნებობა და ძალმომრეობა, სიკვდილით დასჯაც არ გადავარდება.. სანამ მმართველი წრეები და ხალხი ერთმანეთის მოწინააღმდეგედ არიან და ერთმანეთს ებრძვიან ბატონობისთვის, სიკვდილით დასჯა მმართველების ხელში ბრძოლის იარაღად დარჩება ხალხის დასამონებლად, არსებულ უამართლო წყობილების გასამავრებლად, და, ერთხელ მოსპობილი, ეს დასჯა სხვა სახით ისევ შემოვა...

რუსეთში სიკვდილით დასჯა, რამოდენიმეჯერ მოსპობილი, ახლაც არსებობს. ეს დასჯა... სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება, და რაკი რუსეთის ყველა კუთხეში ამჟამად სამხედრო წესებია შემოღებული, ამიტომ სიკვდილის დასჯაც ყველა კუთხეში გახშირდა. სამხედრო სასამართლო სიკვდილით სჯის იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევს მთავრობისაგან დაყენებულ მოხელეებს, მაშინაც კი, როდესაც ეს წინააღმდეგობა თვით ამ მოხელეთა უკანონო მოქმედებით და ძალმომრეობით არის გამოწვეული. სიკვდილით სჯიან იმათ, ვინც ამა თუ იმ გუბერნატორის ბრძანებას დაარღვევს, — ვარშავაში იარაღის ტარებისათვის იყო გამოცხადებული სიკვდილით დასჯა!..

სამხედრო სასამართლო საჯარო არ არის. ამ მსაჯულებს არ უყვართ სინათლე, და, სასამართლოს ოთხ კედელში მიმალული, ისინი სახრჩობელაზე აგზავნიან მათ, ვინც თავს სწირავდა ხალხის კეთილდღეობას. მათ არ უყვართ სინათლე. არ უყვართ, რადგანაც მათს განაჩენს სიბრაღული და სამართლიანობა აკლია, ბავშვებს ახრჩობენ, უბრალო ეკვით სჯიან, საქმის განუჩრეველად სიკოცხლეს ასალმებენ იმათ, ვინც სახელმწიფოში გაბატონებულ ძალების თვალში „საეჭვოდ“ ან მათთვის „მაინედ“ მიჩნეულია.

სიკვდილით დასჯამ რუსეთში სასჯელის ხასიათი დაკარგა. იგი ამჟამად მხოლოდ ბრძოლის იარაღად გადაიქცა. ხალხის უმეტესობას ებრძვის სახელმწიფოში დღემდის გაბატონებული უმცირესობა და ცდილობს სისხლით და სისასტიკით ჩააქროს ხალხის გამოფხიზლება: ხალხი ხედავს არსებულ წყობილების უსამართლობას, ხედავს, რომ ამ უსამართლობას დამცველები ჰყავს და ებრძვის მათ... იცის რომ ეს „დამცველები“ მხოლოდ თავის უპირატესობას იცავენ, რომ მათ ხალხის კეთილდღეობა სრულებით არ ენაღვლებათ.

ამაირ პირობებში სიკვდილით დასჯა და სისასტიკე ხალხში მხოლოდ ახალ მებრძოლთ შუქმშენს, მებრძოლად გახდის იმათაც, ვინც წინეთ გულგრილად შეჰყურებდა არსებულ უსამართლობას, რადგანაც ყველა გრძნობს და ყველამ იცის, რომ მმართველ წრეებს ზნეობრივი უფლება არა აქვთ მათ ხელში მყოფი სახელმწიფო ძალა მხოლოდ თავის საკეთილდღეოდ მოიხმარონ და სასამართლოც ხალხის დასამონავებლად იარაღად გახადონ... სიკვდილით დასჯას წინეთაც ვერ შეუჩერებია საზოგადოების განვითარება..

რ — ლი.

ძ ა რ ი შ ხ ა ლ ი

ეს მოხდა მოულოდნელად. მოლოდ დღით ასტედა ხალხში შოთქა-შოთქა. რაცაც ამბებს ერთმანეთს გადასცემდნენ, რჩევას ჰკითხავდნენ, ბჭობდნენ; ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, ზოგი ახეიადებდა, ზოგი აჭარწელებდა. ერთი კი უველამ კარგად იცოდა, რომ „ჰარი მოღის“. რისთვის? „დასაჭკუიანებლად.“

რასი გამოხატებდა ეს დაჭკუიანება, როგორ, რასიარდა ან ვის დასჭკუიანებდნენ, ეს არავინ იცოდა. ლაზარაკობდნენ: არავინ დაზოგავენ, მთელს დაბას გადასწვავენ, არც ქალსა და არც ბავშვს არ დაინდობენ, მაგრამ არვის არ სჭეროდა, არ უნდოდა, არ შექედო დაეჭვებინა.

— რისთვის? — უველამ განცვიფრებით კითხულობდა. ახალ წლის წინა დღე იყო, — ცივი, ჩქარბანი, დრუბლიანი. დაბა მწის მთავარ ქუჩაზე, სადაც ორ-ხინდად ჩარჩკულები იყო სხვადასხვა მდაზები და დუქნება, სადაც არა ჩვეულებრივად ირეოდა, გაოქვეულისა და ცივ ტლახს ფეხთა ზედა, ავირბოდა, უვიროდა, ოხუნუბდა, ეიდულობდა, ჰკიდა, და დადღუღ-დატანჯული შინისკენ მიემუხებოდა.

აქ ნახავდით გლეხს, რომელსაც სოფლიდან ჩამოეტანა დაკლული კოჭი, ფრინული, კვრცხი და, სიცივისკან გათოშილი, დაკლეულ ფარჯაში ესევოდა და ერთს ალაკას უძრავად იღია. ნახავდით რეინის გზის მოსამსახურეებს, მთ ცოლებს ჰატარა გრძელი კალათებით, ქალბატონებს, რომლებიც მუხლებამდის ტლახში ნახად ფეხს ადგა'დნენ, ნახავდით სოფლებიდან ჩამოსულ მღვდლებს, დაკვებებს და სხვ. ეს ჰკრელებული მრავალფეროვანი ბრბო ბედნიერ დღისთვის ემზადებოდა და ფეცნობდა, ცდილობდა, მალე მოშორებოდა ამ ტლახს, სიცივისა და ჭედვას.

— მოდანი! მოვიდნენ! ამ სიტუებმა ეღვასავით შთიბინა მთელი ქუჩა. მოლაზარაკის ზირში სიტუვა გაუწედა, შეიდეგეს ფუღით გაშვრალი ხელი ჰკერში გაუჩერდა, ვისაც რა ეჭირა ხელში, ისე გაჭკავდა.

— მოვიდნენ! რა ეჭება? — ეს კითხვები სახეზე ეწერა უველას. ორსართულიანი უზარმაზარი სადგური, მრავალ ჰატარ-ჰატარა შენობებით და აურებელი ვაგონებით, იქვე სიასლოვეს შავად მოსხანდა. შიშითა და ცნობის მოფვარებით გატაცებული თვალები ხალხმა სადგურს მიაპრო.

აქამდე დაურუებულ და მივლებულ სადგურზე მოსამსახურენი, უნდადრები, მახრის ზოლიცა და დაბალი ხარისხის მოხელენი ბუზივით აირივნენ, მირბი-მორბოდნენ და მოუსვენრად ტანჯკროდნენ რეინის გზის ერთს კუთხეს, საიდანაც მატარებელი უნდა მოსულიყო. აკერ ისიც გამჩნდა. ხენეშითა და ქლოშინით უახლოვებოდა სადგურს. მიურუებლების თვალთ წინაშე ერთი-ერთმანეთზე მასრიალებდნენ ვაგონები, საიდანაც მოსხანდა ემაწეალო, ადგუნებული სახეები ჰარასკანები'ა, თაფების შუბები, საომრად გამზადებულ მოწეობილობა და ისმოდა მდალი ხმურობა და უფროსთა ბრძანება.

გაუჩქებულმა, უძრავად მდგომარე ხალხმა ინსტანტიურად იგრძინა, რომ მათი შიში უნდა გაშართლებულიყო. ეს ის ჰარა არ იყო, რომელსაც ხშირად აუულ-ჩაუვლია ამ სადგურზე ისე, რომ არავის არც კი შეუშინებო. ჩუმნი, მორიდებით მასაარული-მოლაზარაკენი, დაჩკრუნნი, მივლებულნი, შესაბრად სნი ჰარას კანნი დღეს სტიქიონად კარდაქრეულიყვნენ, შეუბრალებულს, უტულა, საზარელ ძლას წარმოადგენდნენ, რომელიც არ ანდაბს არც უხელია არც სულიერ არსებას და გაუშამდარი, არავინ იცის, რად და რისთვის გაბოროტებული, არემარეს უქადის განადგურებას, წაღვას,

ადამიანის სიცოცხლის და ნაშრომ-ნაღვაწის ერთიანად მოსპობას, არანად ქრებას.

ეს იყო ძლიერი, უღმობელი, ჭრიშხლის მიერ აღუდგებელი ზღვა, რომლის ტალღის მოახლოებაზე ეოველი სულდგმული თავზარდგნული ცარბის და უკან აღარ იხევაება.

ჯარის კაცი სსჩქაროდ კადმობტრენ ვაკონებიდან და დაეფუბული თვალები არემარეს მოავლეს. სადგურის მიდამო გაივსო ერთგვარ ადამიანებითა და თოფებით. ვიღაცა მალაღის, ბრძანებლობის კილოთი ჰუვიროდა, ჯერ ისმობდა გუგუნი, შემდეგ ავირდნენ, შეჟგუფდნენ... უეცრად რაღამც იტყვა, მას მოჰყვა შუორი, მისამე და ასრულდა სისარული ჰქებ.

— ტრას... ტრას... ტრრრრასს! — ძღვევდა ბანს მიუბო.

უეველური ჩანუშდა. ჰუვირც თითქმის განუშდა. გასეფებულ სინუშეში მით უფრო სსზარდად, მით უფრო კარგვეთი სსქებდა თოფი და სეობის მიერ მოცემული ბანს.

ზარ-დაცმული, თავ-გზადანუეული ბრბო გაფროსს, გაიქცა, ქუჩები მსწრაფად დაიღალა. სეტყვასავით წამოსულ ტყვიების ქვეშ კონებაზე მასული ჰატრონები აჭა-იქ მალაობებს სსჩქაროდ ჰქებოვდნენ. ერთი წამი და — დაბს ჩაკვდა, მიიძინა. ქუჩებს მოეფუნენ ჯარის კაცი...

II

ცა ხელ-ხელა იწმინდებოდა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გვერდ-გვერდად მისრიალებდა ღრუბლების შავი ნაწვეულები. ღრუბლები გარბოდნენ, თითქმის უკანდამ რაღაცა ძალა აწვებოა, გზა-დაცბა იწვებოდნენ და სივრცეში იქსსსებოდნენ. ნიღბ-სხდილი ვარსკვლავები მიხორუად გამოიფურებოდნენ და დამის სიციფეში ოდნავ ეღვარებოდნენ. მათა შერთადი ნათელი და მინდვრებში და დებული, ხელ-უხლებული თოფი დამის წვედადს ფერს უკარგავდნენ. სეობდან ჰქებოდა ხშირი მსუბუქი ჭარი და არემარეს აციფებდა.

დამის ათი საათი აქმებოდა, მკვრამ დაბას სიცოცხლის ნასხი არ ეტუბობდა. არც ერთ ფანჯარაში სინათლე არ გამოსსტუბდა. ფანჯრები და კარები ეველას დახურული ჰქებნდო, გეკონებოდათ, ხადხი და ცხოველი ას მთლად ამოწვედარ, ან ღრმს ძილს მისცემიან, თუმივამ სიუხეში, ამ დამის წვედადში, ამ მიფრუბულ-მიხეუმებულ სსხლებში ადამიანი სცხოვრობდა და არც ეძინა...

სადგურს და ბასარზე კარგა მოშორებით, წყალ-გაღმა, დაბის ბოლოში, ხის შენობებს შორის კობტად გამოიფურებოდა ჰატრას ორსართულიანი ჰეთიკარის სხდი. ზედა სართულის ოთახის კარები დროკამოშებით სიფროსილით გაიღებოდა და აივანზე ფეს-აკრეფით გამოვიდოდა ხოლმე რაღაცა ანრდილი. ეს იყო ამ სსხლის ჰატრონი, რკინის გზაზე მოსამსსხურე კონდუქტორი გიორგი მეღვიანუშილი.

ათფ-ფანის შხაღერთი კარულ ჰატრას ოთახში, რკინის რუსულ ფეხთან მიუტრული აჯდა ხანში შესუეი, სანდომიანი სსხის ჭადი, გიორგის ცოლი. კასობობდა ხელები ფეხისკენ გაშვირს და სოფეემდა. უოველს ფანბ-ფუნზე ან სსაურბობაზე შეკრებოდა, შიშით მიხეიდ-მიხეიდავდა და ისეუ ჩსქებანდრავდა ხოლმე თავს.

უბრალი ჰატრას ღამშარი შერთად ანათებდა გაშვებულ კამდეს და ზედ რიზე დაღვკებულს სსვადსხვა წვრილ ავეჯეულობას, ათფ ფანის ფარდებს ფანჯარაზე, რამდენიმე სკამს, კრძელს და ვიწრო ტახტს, რომელსეუდგელავა ზედათ სსჩქარვი მუთაქასადიშები, და დიდს რკინის რუსულ სწოლს, სადც მადლ ქვეშსაგებსა და შრავალ ბაღამეში მიწალიდოეო, თბილად შხლში გზხეუელი, გასათხვარა ემსწვილი ჭადი.

ოთახში გასეფებულ სინუშეს არღვევდა სეგდის მომგვრელი, დამდონებელი ერთგვარა ხმა კედლის საათის, და ღრუტრნი კატის, რომელიც ფეხის ძირში მოკურტულიეო და თბილად ეძინა.

კარი სიფროსილით გაიღო და ოთახში შემოვიდა გიორგი. უდროფოდ გაქლარებული და წელში ოდნავ-მოხრილი, სუსტი, დაბალი ტანის კაცი, და თითქმის მხიარულის კილოთი ცოლს მიუბრუნდა, რომელმაც თავი აიღო და შეშინებულის თვლით შესედა.

— დაიგეთ და დაწვიეთ! არაფერი არ ისმის რა, მე ჯერ არ დავიძინებ, დაწვიეთ.

უმწველი ჭადი სსწოლზე შეიშუშნა და თავი წამოჭეო. ცოლმა გასძალა ტახტსე ღოკინი, თავშალი მოისსა და ისეუ ფეხს მიუჭდა.

— იმედი კი გაქვს, გიორგი, რომ ვასილს არ დაიჭერენ? — სიადუმლო კილოთი ჰკითხს ჭმარს, მკვრამ ბასუხი ვერ მიიღო. გიორგის მუსლებზე დაეწყო იდავეები, თავი ჩაკქნდა და ეალი-ონის სწვედა.

ცოლმა თავისთუვის განატრძო:

— დმერთო, დმერთო, როდის მორჩება ეველფერი, რომ ერთი თავისუფლად ამოვისუნტო! იმ ჩემი ცოლვით სსვასე ვეუბებოდი, ფროსილად მოიქეცი, შვილო, მსხეში არ გაება მეთქი, მკვრამ რომ ვერაფერი შევასმინე! ე რაღაც წითელი რაზმი გამოიგონა, მსმინათვე არ მომწინდა ეს სსქმე. ამბობენ, წითელ რაზმელებს ეველასზე მეტად სდევნიანო. რაღა შეუელებია, რომ დაიჭირონ! სსდ გადავარდა? ვ-ნ იცის, იქ კი არ მოატებენ? ეეეე! — ამოთხრა და ჩანუშდა.

— შეიძლება მოვიდნენ აქ და ვასილი იკითხონ, — ცოტა სინუშის შემდეგ სოქვა თავაულებივ გიორგიმ. — არ შეკეშინდეთ, უთხარით ეს ერთი თვეა, ჭალაქს წავიდა ადავის სსმოკრეულად და ჯერაც არ დბრუნებულათქო. ტესმას? — მიუბრუნდა ჯერ ცოლსა და შერე ჭალს, — ეს ერთი თვეა წასულიათქო!

ცოლმა თავი დააქნია და ორიფენი გახეშდნენ. ჰატრას ხის უკან ცოლს ძილი მოეკია, აჯდა და ისე გაუხდელი ქვეშაგებზე მსწვა.

გიორგი კი იჯდა ისეუ ისე გაუნძრევლად, ეალიონის აბოლებდა და მწარე ფიქრებისთვის მიეცა თავი.

მის თვალ-წინ გაიარეს ერთი-ერთმანეთზე გადაბეულმა სურსათებმა წასრულის ცხოვრებიდან: ეველა მათ სარჩულად ელო სიციფე, შიშილი, დამცირება, ტანჯვა, ლუკმა-შურისთვის უსიამოვნო, ადამიანურ ღირსების დამამცირებელი ბრძოლა. ანსოვს ბეშეობა ღარბი გლეხურ ოჯახში, როდესაც ის ფესშიშველ ტლახსს და სიციფეში აბობდა სოფელის უსწარ-მსწორო გზებზე ხან ბავშვებთან სთამ-მოდ, ხან დედის ან მამის დავალებით. ნსხვრად კუშის კადლომა, მუღმივი ჩაკვრა-დამცირება, ბუღისა და სიცოცხლის უკმყოფილობა, გატანჯულია, გაძღლებული ცხოვრება. შემდეგ „საღდათობა...“

საღდათობის შემდეგ ის შედის სსმსხურში რკინის გზაზე ჯერ მისრედა, შემდეგ კონდუქტორად სსქინდის მატარებლებზე. ბეუბი დამეუბი ანსოვს გიორგის, ცოვი, ტანჯვის დამეუბი...

ზირველ ხანებში ის ღროს მხიარულად ატარებდა დუღევრად, როგორც მრავალი მისი ამსანავი, მკვრამ ერთ დღეობასე ხანს კეთილი, დამაზი გაიანე, მოქწონს, შეუევირდა და ერთს მშვენიერ დელს ჯვარც დაიწერა. მას შემდეგ მისი ცხოვრება სრულიად შეიცვალა: როგორც კი სსმსხურიდან კანთავისუფლებოდა, მსმინვე სსქეთოდ წამსვლელ ამსანავებს გამოემშვიდებოდა და შინისკენ გაემშურებოდა, სადაც კემრიელი დუქამა, თბილი სწოლი და ღამაში ცოლის აღერსი მოეღდა.

25 წელიწადი ასე მიმდინარეობს მისი ერთი-ერთმანეთში არეული მწარე და ტუბილი ცხოვრება. მისი ოცნება, როდისმე სხვა ღია მატარებელზე გადასულიყო, ოცნებად დარჩა. მისი ამხანაგები, მომეტებულად რუსები, დიდხანს უფროს კონდექტორებად არიან, ის კი ისევე ცივს და ტუნჯის დამკვრებს ატარებს საქაჩის მატარებლებზე. მ-რეკლად შეთავაზდა, ჰქვეროდა, თხოულობდა, არსებებს სწერდა, შემიღო თხოვნებს თავი სულ მიანება, კარგიოქანს შეურიგდა და მთელი თავისი ძაღა და სურნა თვასს მოანდამა. ახლა იმის ოცნება გახდა, საკუთარი ადგილი შექმნას და მატარებელს სახლიც აიშენებინა. ააშენა კიდეც. ცოლი შეხვდა გამრჯე, თავდარიგებანი ქალი, ნახევრად შიმშილს იტანდა, თავის თავზე არაფერს ხარჯავდა, გროშს გროშზე აღებდა და ამ გვარად ოცდასული წლის განმავლობაში გიორგის საშუალებას მიეცა, ევიდნა დაბას გარედ მატარებელად და სხედ მატარებელს სახლი აეშენებია.

შრომის მოკვარეს, მშვიდსა და უწინარს გიორგის, მასობრ სინდომიანს და ტუბალად მოღვაწე კაიხეს თითქმის მთელი დაბა იცნობს და დარსეულად მატარებელს სცემს. გიორგის და კაიხესადმი მატარებელში მიზნადებს შორის უფრო იმტა, როდესაც მათ გამოეხადნო ქალიშვილი ღიზა. მისმა ჩონჩხმა, სინდომიანმა, თურ-წითელმა სასემ, კახტად შედგომულმა, ნარნარა ტანმა და დედ-მამისაგან განმცემულმა დარსებებმა ბევრ ემაწვილ კატანუტოკა გულა და, ერთი ერთმანეთის ქიშხით, ეველა სინდომიან ღიზას სიყვარული და მისი დედამისი მატარებელს დამსახურებას, მაგრამ არც ღიზა და არც დედ-მამა არ ჩქარობდნენ. ღიზა გაიხარდა, და მურდა, ხელში გაერთა და, თავის სიღამასკის და მომხიბვლელ დარსებებში დარწმუნებული, ეველას ტუბილს დამილით ავიდოდა.

გიორგი ბედნიერია. მისი ბედნიერება კაიხე, ღიზა, ვასილი, ეს მატარებელი, კახტა სახლი და სახლის მოწეობილობა. ამ ბედნიერების გარეშე გიორგი არას დარსებებს, არც უნდა ეძიოს, ძიება გვიანდა. ბედნიერება დიდ ტანჯვად დაუჯდა, მით უფრო მდინარისა იგი მისოვია.

მაგრამ აგერ მის ბედნიერებას განსაცდელი მოეღის... ვასილი შემწეულია. ბოლავია იცნობს, რამდენჯერმე ტახეში იჯდა. ეველა საქმეში მეთაურობდა. იმდინას! ამას რომ კაიფიერებს გიორგი, გული ეღევა და ცივ ოფლს ასხამს. მოვლენ! უთოდ მოვლენ! დაუწეებენ ძებნას, კამოკითხვას...

III

გიორგიმ მღვდელ აიხედა და ოთახს მოავლო თვალი... ცოლსაც და შეიღეს ეძინათ. ოთახში ეველა სინეში სუფიედა. სდადც მამადმა ივიელა, მას მიჰყვა მთრე, მესამე. გიორგიმ შეხვდა საათს, შირველის ნახევარი იყო; ადგილიდან ფრთხილად წამოიწია და ფეს-აგრეთით კარში გავიდა.

სადგურის სიხლოვეს შენობების თავზე ჰქერი განათებულიყო, როგორც მთვრის ამსვლის დროს ცა შეწითლდება და განათდება ხოლმე. სოწითლე თანდათან ჰქარავდა ფერს და ბოლოს სდადც იკარგებოდა სქელს და შავს დრუბლებში, რომლებსაც ძაღზე დაქვით ძირს და შენობებს თავს დასტრიალებდნენ.

გიორგიმ თავლებზე ხელი გადასვა: კარგად დააკვირდა და შეშინებულმა წაიხურჩელა.

— ბასარი იწვის!!

ამ ფიქრმა ცახცახა დაწეების და ერთს ალაკს გააქვავა, ვისი შენობები იწვოდა, გიორგიმ არ იცოდა, რადგან წინ დიდი ორსართულიანი სახლი ჰქონდა ამოფარებული.

სინათლე თანდათან მატულობდა. ამასთან გიორგის უგრამდინ მოაღწია რადც უცნაურმა გუგუნმა და ხმაურობამ. გიორგიმ ერთს ალაკს დგომი ვეღარ შესძლო, ცნობისმთავრობამ და განსაცდელის მოლოდინმა მოვად გაიტაცა. ფეს-აგრეთით, ქურდულად, რომ სხვებში ცოლში იქნა არ გაეკონათ, კიბეზე ჩაიხარა, გავიდა ეხოშა, იქიდან მინდორში და ჩამოფარებულს სახლს გვერდო აეჭვა.

თვალწინ წარმოუდგა მას დიდებული, მაგრამ საზარელი სურათი. მთელი ბასარი, დიდი ქუჩის გაყოფისზე, მოვად ალაში იყო გახვეული, ორივე მხრიდან მოკადებული ცეცხლის ალა გადდომდა ფიციდან ფიცარზე, სახლიდან სახლზე, ხელს ჰხვევდა აურებელ შენობებს, რომ შთანთქმა, ფერფლად ექნა შევლავიერი.

ცა უფრო და უფრო წითლდებოდა, ცეცხლის ალი და ნაპერ-წველები აგრებოდნენ შავს და სქელს კვამლში, რომელიც მატარებლის თავს დასტრიალებდა ცეცხლს და შექვეც ცის სივრცეში ითქვლიფებოდა.

თავის ნებაზე მიშვებული ცეცხლს თანდათან მიმდინარებდა. ირვლიყო, რამდენიმე სი სავანის მანძალზე, დღესეით განათებული იყო, აქ-აქ წინ და უკან შარბი-შარბადნენ ადამიანის მარცვლი შავი ჩრდელნი. გამსკდარი ქვის ხმა, ხის ტუბ-ტუბი და გად-ბრეულ ქვითკირის კედლის გრიალი ღამის სინეშიში ჯოჯო-სეთურ მუსიკად ისმოდა. გიორგი იღვა გაბრუნებული. ხარ-დარწმული და უოკელ გვარი გრძნობა დაქვია, დაქვლენა, — დროკამოშეობით ნიავის მიერ მოტანილ კვამლის სუნის და სიმხურვალეს ვერ ამხნე-ვდა.

იღვა და ფიქრობდა: ვისი სახლი, ვისი მდალხია იწვის? აქ ვერ მოხწევს, მისი სახლი წყალ გამოღმას, მაგრამ აქც რომ წა-უვიდონ?

ამ ფიქრმა ეველსავით ვარბინა თავში, თოფ-ნაკვარავით უკან გამობრუნდა და აჩქარალებული გულით სახლისაკენ გასწია.

თავის ეხოს რომ მატარებელი, ფეხის ხმა და ხმაურობა შემოესმა. გიორგი შესდგა, კედელს მავურდა და განიხა.

ფეხის ხმა და ხმაურობა თანდათან ახლოვდებოდა; აგერ შე-მოსახვევს დაუბარდანიდა. ვილაც ჩურჩულით, მაგრამ საკმოდ მ-დალის ხმით დამახინჯებულ რუსულს ღამანაკობდა:

— ვასილ შეღვინაშეცა, ი, აქა სდაცს, მამსიან, ი, იმ ს-ხლში!..

გიორგიმ დობეს სტაცა ხელი, რომ არ წაქცეულიყო. გული მოვლია, სული ვეღარ ამოიქვა და შებლზე ცივმა ოფლმა დაასს.

ხმაურობამ მოატანა, ტახს განმოუხიკეს...

გიორგიმ ძაღა მოკვირდა, ერთი თვალის დახამხამებაზე კიბე აირბინა და გაყოვით ოთახში შევარდა.

კარების ბასხუნზე დედა და შვილი წამოვარდნენ ლოკინიდან და შეშინებული თვალში გიორგის მიაშურეს.

— ნუ გეშინინთ! — ძაღვის მოათქვა სული გიორგიმ — მოღა ნ, ვაიღის ექებენ! რა დგეშარათა? — შეჰვიარა გიორგიმ, რომ და-ნახა ცოლ-შვილის საცრის ფერს სახეები და გაყოვით თვალდა. — ნახავენ რომ არ არის და წაქვლენ, შეიძლება რამე წაიღონ, ჯნდა-ბას, რა უფოთ მერე?

ხმაურობა მატულობდა. აგერ ეხოში შემოვიდნენ, ძარის კარებს მოადგნენ...

ღიზას ჰქვედატანი სსქაროდ გადაეცვა, სხედ ტანი მხრებზე მოესხა, მოშამულბულ გულს იფარავდა და ფეხბმშველა მთელი ტანით ცახცახებდა. განსაცდელის მოლოდინში შეშინებული, სუსტი, უძღური, მშენიერს ქანდაკებას ჰქვანდა. კადავიარებული, რველა, მოყვანილი ზირისახე, კუნაპეტოვით შავი, სქელად ჩამოშლილი თმა,

ოდნავ გაღებული ჰატარა ზირი და გაშტერებული დიდი თვალები, რომელშიაც უსომო შიში და თავ-დაიწყება ისტებოდა, საოცნებოდ ხდიდნენ უმწველ ქაღს. კული მძღვარად აუღ-ჩაუღიოდა და მამას მისჩერებოდა, მისგან ელოდა ხსნას და შეეღას.

ძირს რაღაცამ იჭექა, გადავარდა, კიბეზე კაისმა ფეხების ჰარტუი-ზერტუი და კანდახების კაკუნი; ბეგნი იყენენ, ხმაშაღლა ლაზ-რაკობდნენ იგინებოდნენ, იმუქებოდნენ. სასარელი ეუიანი იყო!

აკერ ამოვიდნენ... გიორგი კატრიალდა და კარეში გასვლა დააზიარა. მკრამ კულში თოყის კონდახი დონიერად მოხვდა და კარეშივე ჩაიკეტა.

წაქტეული გიორგი კადმოქელა, კადმოაბიჯა რამდენიმე შეიარაღებულმა კანმა. ოთახი გაიკისო. ვეგლაფერი აირია. ვიდაცამ ფეხს წამოჭკრა ფეხი, ფეხი გადავარდა, „ტრუბები“ ჩამოცვიდა და იატაკზე ჩხრიალი მოიღო. არეისა და დვინის სუნი დატრიალდა... ოთახში ამოძრავდნენ ფაფახის დიდი ქუდეები და მხეგური სახეები...

ჭექა-ჭეხილმა, ქარიშხალმა, წვიმამ არემარეს თავზარი დასცა და გაღიარა. სდუმს ვოველიფე. ფოთოლი ხეზე არ ინძრევა, კაშმა; კაშმაღ ბუნება, აღამიანს, ვოველ სულმდგომულს გონება ვერ მოუკრეფია, — გაუჩუქულა და მეორედ განიდნის, რაც უკვე ერთხელ განიცადა.

შორს, სხდაღ მესამედ იეივლა მამაღმა. ღამის სიბნელეს ჩათელი შიკრია და თანდათან იშარჭეკება. ოთახში ბნელდა, ვეგლაფერი კარინდებულაფეო.

აკერ მეორე ოთახში ვიდაღ შეინძრა, რაღაცას წამოჭკრა ფეხი, შესდგა, შემდეგ ფარფატიო კარებს მიადგა, შემოაღო და გაჩერდა. კარულმა სხიკამ მკრთაღად კანათა სასარელი სახე გიორგისა. დასველებული თმა შუბლზე ჩამოშლიდა, ღოფზე შაგი ზოლი ჩამოსდგა. ხელი უკანკალებდა. სხიკა დაიწვა და ჩაქრა.

სიბნელეში წასდგა წინ ნაბიჯი. კიდე რაღაცას წამოჭკრა ფეხი და წაბორძიკა. ფეხ-ქვეშ შუშის ნატკის წკრიალი მოისმა კაჭკრა მეორედ და... სხიკა მსწრაფელ ჩაქრა სიჩუშეში გაისმა სასარელი არ აღამიანური უვირილი. ტახტზე რაღაც მიძიედ დაეჭა და კვლავ სიჩუშე გამოეღა.

კარედ იხილდა. სარკმლიდან შემოჭრილმა შუქმა ოთახში გამოეფებული წვედადი კაციაკა, გიორგი მინგრეულ-მინგრეულ, დაღეწილ ავეჯულთბას უურადღებას არ აქტეუდა; ის კეთური თვაღე-ბით ჩასტკეროდა ტახტზე კანათხელს, ნახევრად შიშველს ქალი-შვილს, რომელსაც სახესა და სხეულზე სიცოცხლის ნიშნები არ ეტუებოდა და დაფხაჭხილს, დასისხლიანებულს გულზე ნახად ხელს უსვამდა.

უურებდა და არა სჭეროდა, უსახარლესი სანახავი აღარ იქმნება დღემიწახე! აღამიანის გონებას ძალა არა აქვს, მისწვდეს, ჩაუკვირავს, ახსნას ეს გრძობა!

მამას უნდოდა ევიინა, შეეღა ეთხოვნა, უნდოდა ეკვნესა, თავ-ზირში ეტემა, მიწა ხელებით დაეპოტნა, მკრამ უცნაურმა ძალამ დაიმთხავა მისი არსება და ვეგლა გრძობა დაუნღუნვა, ძალა დაუკარგა.

ბუნდაღ გრძობდა, რომ ცხოვრება მისი დაირღვა, დაიწეწა, აღარ აქვს მიზანი, აღარ აქვს სურვილი ცხოვრებისა.

ეხთში ხმაურთა ასტედა. ხაღხი მირბოდა, ფაცურბოდა, ჭევირბოდა, რაღაცას აკეთებდა, ვიდაღ კიბეზე გამობოდა, მკრამ გიორგის არა ესმოდა რა.

შინდოდა მამის, რაღაცას კარები გაიღო და მეზობლები დაინახა, შეკრთა, ხეზე მსწრაფელ წამოვარდა და ტახტს აეფარა

— ჩქარა, თავს უშველე! სახლს ტეცხლი უკიდა! რას კაჩე-რებულხანთ! ჩქარა, ჩქარა!..

თითქოს გიორგის ეს სიტყვები არ სმენიაო, ერთს აღაცს ტარტმანბაღ, მეზობლებს შეშინებულს თვალებით შესტკეროდა და ცდილობდა ტახტს გადაჭვარებოდა.

საბრადო ერთს და ჭევირობდა: მეზობლებს არ დაენახათ მისი გულშეწახებული, გაუმატიურებული ქალი...

სვ. ყიფიანი.

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ივერია

1906 წელს

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამოღვიმდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნიო 3 მან., 5 თვით — 2 მან.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწერო, რომელთაც ხელ-მოსაწერი ფული სრულად ჰქონდათ შემოტანილი, დაურიღებ-ბით დაკლებული პრემიები №№ 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ მე-12 ნომრის მაგიერ გაეგზა-ვნებოთ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრეი-ლინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო აღრესი: Тифлис, Редакция газ. „ИВЕРΙΑ“.

საქმეწვილო კურნალი

ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ.გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურის ბინაზე, ალექსანდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროკვეტზე, ზუბა-ლაშვილის სახლში, № 8.

ყოველდღიური გაზეთი „სნობის ურსული“

სურათთაგანის დამატებით

პირველ აპრილიდან წლის დამლეკამდის

ღირს 4 მან. და 50 კახ.